საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორაც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 6 სექტემბერი. 2019 წ. №176 (8842) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

როგორ დავაღწიოთ თავი ნაცთაგან დაქსელილ სამყაროს?!

8

„ შეუფოთებლობა“ იქით ძვრა არ არის!

„ახალი სამთავრობო პროგრამის ეკონომიკური ნაწილი, რომელიც ისეთივე უსუსურია, როგორც ჩვენი ქვეყნის მიკნავლებული ეკონომიკა“

როგორია ახალი პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას სამთავრობო გუნდის ეკონომიკური განვითარების გეგმა და რა ცვლილებებს გვპირდება მომავალი ხელისუფლება ერთი წლის განმავლობაში.

„სამთავრობო პროგრამა 2019-2020“ ეკონომიკურ ნაწილში აერთიანებს **დასაძმებას, საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობას, ბიზნესგარემოს, მცირე და საშუალო მეწარმეობას, რეგიონული ჰაბის მნიშვნელობას საქართველოსთვის, ინფრასტრუქტურულ განვითარებას, ენერგეტიკას, ტურიზმს, ტრანსპორტის განვითარებასა და რეგიონულ ეკონომიკურ პოლიტიკას.**

დღეს გთავაზობთ რამდენიმე საყურადღებო პუნქტს სამთავრობო პროგრამის ეკონომიკური ნაწილიდან. დოკუმენტის ეს ნაწილი იწყება ფისკალური დისციპლინის მნიშვნელობის ახსნით.

იხ. 4 გვ.

საქართველო აფასებს უნგრეთის მხარდაჭერას ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მიმართ

ყველა **სიმძიმე, რომელიც დღეს აწვება ჩვენს მოქალაქეებს, საოკუპაციო ხაზს აქეთ იქნებიან, თუ იქით, ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია,** — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა უნგრეთის პრეზიდენტ იანოშ ადერთან გამართულ ერთობლივ კონფერენციაზე განაცხადა.

„ყველა სიმძიმე, რომელიც დღეს აწვება ჩვენს მოქალაქეებს, საოკუპაციო ხაზს აქეთ იქნებიან, თუ იქით, ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია. ამისთვის ჩვენ გვჭირდება ჟენევის ფორმატის განახლება, გაძლიერება, რათა დაიწყოს პოლიტიკური ნამდვილი მოლაპარაკება, რომელიც მიმართული იქნება ამ სიტუაციის გადაწყვეტისკენ და ესკალაციის მოხსნისკენ. ვაფასებთ უნგრეთის მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მიმართ ყველა ფორმატში. უნგრეთი მხარს უჭერს ყველა ჩვენს რეზოლუციას ამ საკითხთან მიმართებაში და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. უნგრეთის პრეზიდენტი ჩავა საოკუპაციო ხაზთან“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

როგორც სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, **საქართველოს გზა ევროკავშირისა და ნატოსკენ უცვლელია.**

ირაკლი ღარიბაშვილი:

„გირჩი“ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა!

2

რა საბრალო და იდიოტი ყოფილხარ, ნარკომანო ზ. ჯაფარიძევ!

„გირჩის“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე თავდაცვის მინისტრობის კანდიდატს ირაკლი ღარიბაშვილს პასუხობს, რომელმაც საპარლამენტო მოსმენისას „გირჩის“ „ბიბლიური თავისუფლება“ ახალგაზრდობის „დეგრადაციასა“ და სახელმწიფოსთვის „ძირის გამოთხრაში“ დაადანაშაულა.

„ცოტა ხნის წინათ პარლამენტში თქვი, ბიბლიური თავისუფლება სექტაა, რომელიც ძირს უთხრის სახელმწიფოებრიობას და ქვეყნის უსაფრთხოებასო. 8 წელია, გიყურებ და შენთვის უსაფრთხოების ან ეკონომიკის საკითხების ახსნას რომ აზრი არ აქვს, ვიცი. ამიტომ, იმედი მაქვს ეს მხოლოდ სტანდარტული და უკვე ტრადიციად ქცეული ბაქიბუქია, რომელიც „ასავალ-დასავალის“ მკითხველ ელექტორატზეა გათვლილი.

ასეთ შემთხვევაში, შენ და მეორე ირაკლიმ, რომელიც ასევე ვითომ ქვეყანაზე ზრუნავს, გადაა...თ ერთმანეთს. მაგრამ, თუ მართლა რამე ნაბიჯების გადადგმას აპირებ, რომ ახალგაზრდები ისევ მონებად აქციო — „ასავალ-დასავალში“ გახვეულს დაგტოვებთ თავდაცვის სამინისტროს სადარბაზოს შესასვლელთან“, — წერს ჯაფარიძე.

გიორგი ვოლსკი:

ჯარში სამსახურის მოტივაცია უნდა გავზარდოთ

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გია ვოლსკიმ მინისტრობის კანდიდატებთან შეხვედრისას თავისი მოსაზრება გამოხატა ჯარში გაწვევის თემასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ შესაბამისი პროგრამაა ჩამოსაყალიბებელი, რათა ახალგაზრდებს სამშობლოს სამსახურის მოტივაცია ჰქონდეთ და არა სადღაც სექტაში გაწევრიანების.

— „მათ მოტივაცია უნდა ჰქონდეთ იმის გამოც, რომ ჯარი უნდა აძლევდეს იმ განათლებას და უნარ-ჩვევებს, რომელიც შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგება. აქედან გამომდინარე ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორის გამოხატვა იმისა, თუ რა უშლის ამას ხელს, არა მგონია, რომ შემაძრწუნებელი იყოს, პირიქით, შეიძლება სწორი მესიჯიც არის საზოგადოებისათვის და, რასაკვირველია, ამას კონკრეტული საქმიანობა უნდა მოჰყვეს“. მისი თქმით, პარლამენტის და თავდაცვის სამინისტროს ერთობლივი მუშაობა და საქმიანი მიდგომა სწორედ იმ მიმართულებით გაიყვანს ამ საკითხს და ჩამოაყალიბებს.

ირაკლი ღარიბაშვილი: „გირჩი“ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა

თავდაცვის მინისტრობის კანდიდატი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ „გირჩი“ სამხედრო სავალდებულო სამსახურის კუთხით სახელმწიფოს ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ თავდაცვის მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ისაუბრა.

„მინდა, გამოვყო ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ეს არის სავალდებულო სამხედრო სამსახური. ჩემთვის ეს, თუნდაც გარედან მაყურებლისთვის, იყო ძალიან მტკივნეული პროცესი. ის, რაც ამ ბოლო წლების განმავლობაში განვითარდა, იყო პირდაპირი კატასტროფა. პირდაპირ ვიტყოდი — ტრაგედია ჩვენი ერისთვის. ვგულისხმობ პოლიტიკური მოძრაობისა და ჩვენი ოპონენტების — „ნაცმოძრაობის“ და მათთან აფილირებული წევრების, ე.წ. „გირჩის“ საქმიანობას. მოგეხსენებათ, ხდება პირდაპირი დეგრადაციის მცდელობა ჩვენი საზოგადოების, ჩვენი მომავალი თაობის, რაც არის ყოვლად დაუშვებელი. მე არ მოვერიდები და ყოველგვარი პოლიტკორექტულობის გარეშე მინდა აღვნიშნო, რომ ამ ორგანიზაციის თუ სექტის საქმიანობა პირდაპირ ჩვენი სახელმწიფოსა და ჩვენი ჯარის ძლიერებას ძირს უთხრის“.

დღესვე უნდა დავიწყოთ ყველა სახის იარაღის წარმოება, ბირთვულის გარდა!

დღესვე უნდა დავიწყოთ ყველა სახის იარაღის წარმოება, ბირთვულის გარდა, ჩვენ ამას შევძლებთ, — ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტის ოთხი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე გუშინ განაცხადა.

ამასთან, თავდაცვის მინისტრობის კანდიდატმა განაცხადა, რომ მისი მთავარი ოცნება, საქართველოში სამხედრო მრეწველობის აღორძინებაა. **„ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იქნება სავალდებულო სამხედრო სამსახურის რეფორმის დასრულება, რომელიც ჩემმა კოლეგა ლევან იზორიამ დაიწყო და ჩვენ ამას დავასრულებთ, ასევე მეორე საზრუნავი იქნება ჩვენი ჯარისკაცების ყოფა. მთავარ ყურადღებას გავამახვილებ წესრიგზე, დისციპლინაზე, მათ კვებაზე, მათ აღჭურვილობაზე, მათ შეიარაღებაზე, ვიზრუნებთ მათი საცხოვრებელი და სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, იქნება ეს ხელფასების ზრდა, იქნება ეს ღირსეული ჯანდაცვის პაკეტი, ღირსეული დაზღვევა. ჩვენ ასევე ვიზრუნებთ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. მუდმივად მექნება კომუნიკაცია და მუდმივად განვახორციელებ მონიტორინგს, რომ ჩვენს ბაზებზე იყოს თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ჩვენ შევიტანთ მეტ სპორტს, ტრენინგსა და სწავლებას ჯარში“.**

თავდაცვის მინისტრობის კანდიდატის განცხადებით, საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ საქართველომ არამარტო ტყვია-წამლის, არამედ ყველანაირი იარაღის წარმოება შეძლოს.

„ჩვენ გვაქვს უდიდესი გამოწვევა, ეს გახლავთ ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია. ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი არის ოკუპირებული, ეს არის პირველი სახის, პირველი კატეგორიის გამოწვევა. ამ ფონზე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ჯარი იყოს ძლიერი. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ, რომ ჩვენი ჯარის გაძლიერება ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ არის მიმართული. ჩემი სურვილი, რაც მე აღვნიშნე, სამხედრო მრეწველობის განვითარება, ვფიქრობ, არის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. მაგალითად, მოვიძიე ინფორმაცია, რომ ყოველწლიურად, მხოლოდ თავდაცვის სამინისტრო და სხვა სამინისტროებიც, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვები, რამდენიმე ათეულ მილიონს ხარჯავენ ტყვია-წამლის შეძენაში, რაც არის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა. ჩემი შს მინისტრობის პერიოდში და მოგვიანებით, პრემიერ-მინისტრობის დროს, ერთ-ერთი მთავარი პროექტი რაც მქონდა, ეს არის ტყვიის საწარმოს მშენებლობა საქართველოში. ვფიქრობ, ეს უნდა გავაკეთოთ და ამის კეთება უნდა დავიწყოთ დღესვე. რა თქმა უნდა, ყველა სახის იარაღის წარმოება, გარდა ბირთვულისა, ვიმეორებ, რომ ჩვენ ამას შევძლებთ“...

სექტის წარმომადგენლებს მცდელობა აქვთ, ქვეყნის ორ მთავარ ფუნდამენტს, სარწმუნოებასა და ჯარს შეუტიონ

ირაკლი ღარიბაშვილმა სავალდებულო სამხედრო სამსახურსა და პოლიტიკური გაერთიანება „გირჩის“ საკითხზე საუბრისას აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ არ უნდა მიაქციოს ყურადღება მათ ანტისახელმწიფოებრივ, ანტიეროვნულ, პროვოკაციულ წამოწყებებს.

„მე აღარ მინდა უღირსი ადამიანების შეურაცხყოფებს ვუპასუხო. უკვე გამოგვეხმაურნენ სექტის წარმომადგენლები. მე გეტყვით შემდეგს, რომ ჩვენი ქვეყანა თუ მოვიდა დღემდე, იდგა სარწმუნოებასა და ჩვენს ჯარზე, ჩვენს უკვდავ მეომრებზე. ეს უღირსი ადამიანები ამ ორ მთავარ ფუნდამენტს ურტყამენ და ანგრევენ, მცდელობა აქვთ. ეს არის 0,1 პროცენტი. მე ბედნიერი ვარ, რომ მივეკუთვნები აბსოლუტურ უმრავლესობას, რომელიც სხვანაირად ფიქრობს. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ უნდა მივაქციოთ ყურადღება მათ ანტისახელმწიფოებრივ, ანტიეროვნულ, პროვოკაციულ წამოწყებებს. ჩვენ უბრალოდ უნდა გავაკეთოთ ჩვენი საქმე როგორც მიგვაჩნია სწორად. მე მჯერა, რომ პარლამენტის უმრავლესობა ასე ფიქრობს“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ვახტანგ გომელაური: 20 ივნისს ზოგ-ზოგიერთებს 2003 და 2019 წლები აერიათ!

ვიცოდით, რომ საქართველოში ჩამოდიოდა სერგეი გავრილოვი, თუმცა, რა თქმა უნდა, არ ვიცოდით, რომ თავმჯდომარის სავარძლიდან უნდა წაეყვანა სხდომა, — ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა ვახტანგ გომელაურმა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა, სადაც მას სერგეი გავრილოვის ვიზიტსა და 20 ივნისთან დაკავშირებით ჰკითხეს.

გომელაური ამბობს, რომ 20 ივნისს ზოგიერთს 2003 და 2019 წლები ერთმანეთში აერია.

„გავრილოვის თემაზე იკითხეთ — იცოდით თუ არ იცოდით და რა ინფორმაცია მიაწოდეთო... რა თქმა უნდა, ვიცოდით, რომ ჩამოდიოდა გავრილოვი მთლიანი დელეგაციით, ყველა პიროვნება; ისიც ვიცოდით, რომ უნდა ჩატარებულიყო ასამბლეა, რომ აქ უნდა მოსულიყვნენ, მაგრამ რა უნდა მომზადებულიყო და ის, რომ თავმჯდომარის სავარძელში უნდა ჩაბრძანებულიყო და იქიდან წაეყვანა სხდომა, რა თქმა უნდა, არ ვიცოდით ჩვენ და, მგონი, არავინ იცოდა. უცებ მოხდა, სპონტანურად. მაგრამ მას შემდეგ, რაც განვითარდა, ეს დაგეგმილი იყო თუ არა, პროვოკაცია და სახელმწიფო გადატრიალება, მას შემდეგ მოხდა უკვე ყველაფერი გარეთ, რასაც მოუწოდებდნენ, სამწუხაროდ, ზოგ-ზოგიერთი ოპოზიციონერები — აბა შევვარდეთ, ეს ჩანს კამერებში. არა მარტო ოპერატიული კამერები იღებდნენ, არამედ ტელევიზიებიც იღებდნენ ჩვეულებრივ, როგორ მოუწოდებდნენ — აბა მიდი, აბა შევვარდეთ. მგონი, ზოგ-ზოგიერთებს აერიათ 2003 წელი და 2019 წელი“, — განაცხადა გომელაურმა.

შსს-ში ანაზღაურება გაეზარდა 22 ათას თანამშრომელს!

შს სამინისტროში ხელფასების ზრდა მომავალ წლებშიც გაგრძელდება, რაც ემსახურება სამინისტროს თანამშრომლების სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და მოტივაციის ამაღლებას, — ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა ვახტანგ გომელაურმა განაცხადა.

„სამინისტროს გამართული ფუნქციონირების, მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის უმნიშვნელოვანესია ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ამ მიზნით, სამინისტროში არაერთი აქტივობა განხორციელდა. კერძოდ, დაინერგა ანაზღაურებადი სტაჟირების სისტემა, რაც სისტემაში ახალი მოტივირებული კადრების მოზიდვას ემსახურება. ანაზღაურება გაეზარდა 22 ათას თანამშრომელს, მათ შორის ოპერატიული მიმართულებით მომუშავე პირებს, დაცვის პოლიციასა და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებს. ხელფასების ზრდა მომავალ წლებშიც გაგრძელდება. ყოველივე ზემოხსენებული ემსახურება სამინისტროს თანამშრომლების სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და მოტივაციის ამაღლებას. თუმცა, ადამიანური რესურსების მართვის სისტემის რეფორმის ფარგლებში იგეგმება შემდგომი აქტივობები. ჩვენ ვგეგმავთ, გავაუმჯობესოთ სამსახურში მიღების წესი. პოლიციის აკადემიის ბაზაზე პერმანენტულად განხორციელდება სამინისტროს თანამშრომლების მომზადება/გადამზადება. განვითარდება საგანმანათლებლო პროგრამები საპოლიციო საქმიანობაში იდენტიფიცირებული გამოწვევების ადეკვატურად.

ვგეგმავთ მობილური აპლიკაციის შექმნას...

ვგეგმავთ საპატრულო ეკიპაჟების რაოდენობის გაზრდას, იგეგმება ასევე ექსპრესმომსახურების მობილური სერვისცენტრების ამოქმედება ისეთ რაიონებში, სადაც შეზღუდულია საპატრულო პოლიციის სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

„საპატრულო პოლიციის შემდგომი განვითარება ჩვენთვის პრიორიტეტულია. ამასთანავე, ვგეგმავთ საპატრულო ეკიპაჟების რაოდენობის გაზრდას, რათა საპატრულო პოლიციის საქმიანობის ეფექტური დაფარვის არეალი მაქსიმალურად გაიზარდოს. აღნიშნული ხელს შეუწყობს საპატრულო პოლიციის ფუნქციების გაძლიერებას როგორც რეაგირების, ასევე პრევენციული მუშაობის კუთხით. საპატრულო პოლიციის სერვისების განვითარების მიზნით, ავამოქმედებთ ექსპრესმომსახურების მობილურ სერვისცენტრებს ისეთ რაიონებში, სადაც შეზღუდულია საპატრულო პოლიციის სერვისებზე ხელმისაწვდომობა. საგზაო მოძრაობის წესების ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით, ვგეგმავთ მობილური აპლიკაციის შექმნას, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა, დააფიქსიროს და მიაწოდოს საპატრულო პოლიციას მის მიერ გამოვლენილი საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტები“, — განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

თეა წულუკიანი: ციხეში ყველა თანამშრომელი ძლიერი იქნება!

პენიტენციური სისტემის სამედიცინო ნაწილში ძალიან დიდი გამოწვევაა, — ამის შესახებ იუსტიციის მინისტრობის კანდიდატმა თეა წულუკიანმა პარლამენტში კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენისას განაცხადა. მისი თქმით, სამედიცინო ნაწილის ექთნები მძიმე პირობებში მუშაობენ.

„ძალიან დიდი გამოწვევა არის სამედიცინო ნაწილში, რადგან ჩვენ გვყავს ექთნები, რომლებიც ძალიან მძიმე პირობებში მუშაობენ. მათი ოდენობა არ არის საკმარისი, მათი ხელფასი არის ძალიან მცირე. მინდა, მათ მხარდაჭერა გამოვუცხადო ამ ტრიბუნიდან და ვუთხრა, რომ ჩვენი მომავალი ზრუნვის საგანი კონტროლიორები, ე.წ. მეგასაღეებები, როგორც ჩვენ მათ ვუწოდებთ, ექთნები და სხვა მსგავსი პერსონალი იქნება, იმისთვის, რომ ციხეში თანამშრომელი იყოს ძლიერი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაჩაგრული თანამშრომლის დაჩაგვრა ძალიან მარტივად შეუძლია პატიმარს“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

ამასთან, მან პენიტენციურ სისტემაში ინფრასტრუქტურულ გადაიარაღებაზე გაამახვილა ყურადღება. **„პენიტენციურ სისტემაში ინფრასტრუქტურული გადაიარაღება განვახორციელეთ. იქნებოდა ეს პირდაპირი მნიშვნელობით ცეცხლსასროლი იარაღის მიმართულებით თუ მოძრავი მანქანების მიმართულებით. ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ცვლილებებია“,** — აღნიშნა თეა წულუკიანმა.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲔᲑᲐ!

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ **საერთაშორისო უნივერსიტეტი რეგიონში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ჰაბი გახდება. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები მიუნხენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვრება,** – ამის შესახებ ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარემ ნიკო ჩხეტიანმა განაცხადა.

„ამჟამად ვიმყოფებით გერმანიაში, კერძოდ, მიუნხენში, სადაც მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის და ასევე, სხვა უნივერსიტეტის პროფესურასთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. ისინი შემოუერთდებიან ჩვენს პროექტს და ძალიან მალე, მათ საქართველოში, კერძოდ, ქუთაისში ვიხილავთ. გერმანელმა პროფესორებმა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის, როგორც საგანმანათლებლო, ასევე სამეცნიერო კვლევით პროცესში აქტიურად ჩართვაზე მზადყოფნა გამოთქვეს. უნივერსიტეტის მენეჯმენტის სისტემა, საგანმანათლებლო მიმართულებები, მკვლევართა და ლექტორთა შერჩევის წესი შესაბამისობაშია მიუნხენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის (Technical University of Munich, TUM) მართვის სისტემასთან, რომელთანაც ქუთაისის უნივერსიტეტი 2017 წლიდან თანამშრომლობს. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში ქართველი და უცხოელი აკადემიური პერსონალი იმუშავებს. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები განისაზღვრება მიუნხენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი რეგიონში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ჰაბი გახდება. ის იქნება სამეცნიერო და სასწავლო სერვისების წამყვანი მიმწოდებელი კავკასიის მთელ რეგიონსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში, ეს კი საქართველოს წარმოჩენის, პოზიციონირების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია“, – განაცხადა ჩხეტიანმა.

როგორც ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარემ აღნიშნა, მიუნხენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესურასთან შეხვედრას მასთან ერთად ქუთაისის საერთაშორისო უნივერისტეტის რექტორი ალექსანდრე თევზაძე, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი მიხეილ ჩხენკელი და ფონდ „ქართუს“ პროგრამების ხელმძღვანელი ვახტანგ ცაგარელი დაესწრნენ.

შეგახსენებთ, რომ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის შექმნის იდეა ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის. პროექტის ოფიციალური პრეზენტაცია 2016 წლის 8 სექტემბერს გაიმართა. მას საერთაშორისო საძველმოძიებო ფონდი „ქართუ“ სრულად აფინანსებს. 2020 წლის სექტემბერში კომპლექსის ინფრასტრუქტურა სტუდენტების პირველი ნაკადის მისაღებად მზად იქნება.

ᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲘᲧᲝ...

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲒᲐᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ პოსტზე შს მინისტრის გიორგი გახარიას წარდგენას ბიზნესი დიდი მოლოდინით ხვდება. როგორც „კომერსანტთან“ მათი ნაწილი აცხადებს, გიორგი გახარია ძალიან ეფექტური ბიზნესმბუდსმენი და ეკონომიკის მინისტრი იყო და აქედან გამომდინარე, არსებობს დიდი მოლოდინი იმისა, რომ ის პრემიერ-მინისტრის რანგშიც გაამართლებს.

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲘ, ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲞᲔᲔᲡᲞᲔ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲮᲐ ᲝᲫᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ აცხადებს, რომ როდესაც გიორგი გახარია ბიზნესომბუდსმენი იყო, ის ბიზნესში ძალიან მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა.

„მაშინ ის ბევრს დაეხმარა, გარდამავალი პერიოდი იყო, 2012 წელს ბევრ ბიზნესს ჰქონდა პრობლემები. რა ინფორმაციაც მაქვს, არის ის, რომ მაშინ ის პრობლემის აღქმაში დეტალებამდე ჩადიოდა. სადაც ხედავდა, რომ ხელისუფლების მხრიდან ბიზნესზე ნეგატიური გავლენა იყო, ყველას ეხმარებოდა.

პრემიერის რანგში მის მიმართ დიდი მოლოდინი მაქვს, ახლა მის კომპეტენციაშია ყველაფერი. როგორ ფიქრობთ, არასტაბილურ ქვეყანაში ეკონომიკა შეიძლება განვითარდეს? პირველ რიგში, კრიმინალია მისახედი. მე მაგალითად, ახლა რეგიონებში რომ დავდივარ, ვხვდები, რომ წვრილმანი კრიმინალი გაზრდილია. ეს ძალიან ცუდად ისახება ფერმერებზე. ამბობენ, რომ უფრო მეტი საქონელი ეყოლებოდათ, ეს საკითხი რომ მოგვარებული იყოს. ვერ განვასხვავებთ ძალოვანი სტრუქტურების და ეკონომიკური გუნდის კარგ მუშაობას. ერთმანეთზეა დამოკიდებული. ეკონომიკა ცუდად იმუშავებს? პოლიციას ხელფასს ვერ მისცემ,“ – აცხადებს ოქრიაშვილი.

ბიზნესმენი აღნიშნავს, რომ ის პატივს სცემს ყოფილ პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესაც. მას ჰქონდა ფართო ხედვები.

„ჩვენ მიჩვეულები ვიყავით ისე, რომ წინა პრემიერები 10 წელი იყვნენ და არ იცვლებოდნენ. თუ ავირჩიეთ საპარლამენტო მმართველობა, მზდ უნდა ვიყოთ, რომ პრემიერები ხშირად შეიცვლებიან. გადახედეთ, იტალიას. იქ არის პროპორციული სისტემა და პრემიერების ხშირი ცვლა. არადა, იტალია ევროპის შუაგულია. ამიტომ ნუ გაგვიკვირდებათ, თუ პრემიერების ხშირი ცვლა გვექნება.“

ოქრიაშვილი ბიზნესის წუხილზეც საუბრობს და აცხადებს, რომ კარგი იქნება თუ გახარიას პრემიერობის დროს მაინც მოგვარდება არაპროფილური ბიზნესების საკითხი. კერძოდ, ფინანსური სექტორი და ეკონომიკის რეალური სექტორი სრულად უნდა გაიმიჯნოს.

გიორგი გახარიას პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე წარდგენას დიდი მოლოდინით უყურებს **კომპანია „ჩირინას“ (ბიუბიუს მწარმოებელი) დამფუძნებელი რევაზ ვაშაკიძეც**. მისი მტკიცებით, როდესაც გახარია ბიზნესომბუდსმენის თანამდებობას იკავებდა, ორიენტირებული იყო ბიზნესის ხელშეწყობასა და დახმარებაზე. ვაშაკიძე აცხადებს, რომ არანაკლებად დადებითი კომუნიკაცია ჰქონდა გახარიას მაშინ, როდესაც ის ეკონომიკის მინისტრის თანამდებობას იკავებდა. ერთადერთი საკითხი, რომელსაც ვაშაკიძე გახარიას უკვე პრემიერის რანგში დაინტერესებას სთხოვს, სექტორის დღგ-სგან გათავისუფლებაა.

„ჩვენ ხომ ხორცის მწარმოებელი კომპანია ვართ, ჩვენთან პროდუქტი სრულად იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადისგან, ამას კი რეალურად მოსახლეობა იხდის. ეს იგივეა, ახლა პური რომ დავბეგროთ. აღნიშნული საგადასახადო ცვლილება მოსახლეობას ისედაც გაზრდილ ფინანსურ ტვირთს შეუმსუბუქებს,“ –აცხადებს ვაშაკიძე. „ქართულმა ოცნებამ“ პრემიერ-მინისტრის პოსტზე შს მინისტრი გიორგი გახარია წარადგინა.

კვირას „ახალი მთავრობა“ უნდა დამტკიცდეს.

ᲡᲝᲤᲝ ᲫᲚᲝᲕᲠᲔᲚᲘ

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝ�გᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲨᲘ 68-Ე ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲕᲐᲠᲗ!

2019 ᲬᲔᲚᲡ საქართველო ტურიზმისა და მოგზაურობის კონკურენტუნარიანობის (T&T) რეიტინგში 68-ე ადგილზეა მსოფლიოს 140 ქვეყანას შორის. ასეთი შედეგი აჩვენა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დაკვეთით ჩატარებულმა ანალიზმა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ქვეყნდება.

2019 წლის ანგარიშის პრეამბულაში ნათქვამია, რომ მრავალი წლის განმავლობაში მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი თავს უყრის ტურიზმის და მოგზაურობის დარგის ლიდერებს, რომლებიც ადგენენ კონკურენტუნარიანობის ინდექსს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, 10-ბალიანი სისტემით ზომავენ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ერთობლიობას, რაც ტურიზმისა და მოგზაურობის მყარ განვითარებას უზრუნველყოფს და, თავის მხრივ, ხელს უწობს ქვეყნის კონკურენტულობას და განვითარებას.

ქვეყნის საბოლოო რეიტინგი დგება ბიზნეს-გარემოს, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, შრომის ბაზრის, საჰაერო და სახმელეთო სატრანსპორტო კომუნიკაციების, ტურისტული ინფრასტრუქტურის და სხვა, სულ 14 კომპონენტების მხრივ არსებული ვითარების შეფასებით.

ანგარიშში საქართველო გაერთიანებულია ქვეჯგუფში – ევროპა და ევრაზია. მსოფლიო რეიტინგში საქართველო 68-ე ადგილზეა, მას სულ სამი ბალით ჩამორჩება მეზობელი აზერბაიჯანი, სამხრეთ კავკასიის კიდევ ერთი ქვეყანა, სომხეთი 78 – ადგილზეა. საქართველოს ჩამორჩება ასევე უკრაინა, რომელიც 79-ე ადგილზეა, სამაგიეროდ რეიტინგში საკმაოდ არის დაწინაურებულია რუსეთი – 39-ე ადგილით.

ტურიზმისა და მოგზაურობის კონკურენტუნარიანობის მხრივ **მსოფლიო რეიტინგის პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: 1 . ესპანეთი, 2. საფრანგეთი, 3.გერმანია, 4.იაპონია და 5. აშშ.**

ქვეთავში – „ტურიზმი და მოგზაურობა გარდამტეხ მომენტში“ ანგარიშის შედეგები მიუთითებს მთელ მსოფლიოში დარგის მნიშვნელოვან წინსვლასა და კონკურენტუნარიანობის ზრდაზე იმ ფონზე, როდესაც უფრო ნელი ტემპით ხდება შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის მდგრადი მართვის პრაქტიკის სრულყოფა.

„ᲠᲐᲓᲘᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ“

ᲓᲦᲔᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ 10 ᲐᲗᲐᲡ ᲢᲝᲜᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ

5 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ მონაცემებით, კახეთში 10 ათას ტონაზე მეტი გადამუშავებული ყურძნიდან 3,6 ათას ტონამდე საფერავია, 2,4 ათასი ტონა – რქაწითელი, 1,5 ათას ტონამდე – კახური მწვანე და დანარჩენი სხვადასხვა ჯიშისაა. წელს კახეთში 200-250 ათას ტონამდე ყურძნის მოსავალს ელოდებიან.

რთველის საკოორდინაციო შტაბის ცნობით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო მობილიზებულია, რომ მევენახეებს ყურძნის ჩაბარების პრობლემა არ შეექმნათ და მოსავალი დაუბინავებელი არ დარჩეს. ამასთან, კახეთის რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ყურძნის გადამუშავების პროცესში 23 ღვინის საწარმოა ჩართული. რთველის საკოორდინაციო შტაბში 160 ღვინის მწარმოებელი კომპანიაა დარეგისტრირებული.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲣᲡᲣᲡᲣᲠᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲘᲙᲜᲐᲕᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

ᲤᲘᲡᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲩᲐᲠᲩᲝ ᲔᲧᲠᲓᲜᲝᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲡ:

● გაგრძელდება ხარჯების ოპტიმიზაციის პროცესი, გამოთავისუფლებული ხარჯები მოხმარდება სახელმწიფო ინვესტიციების ზრდას.

● სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებასთან ერთად შენარჩუნდება საბიუჯეტო დეფიციტის დაბალი მაჩვენებელი.

● მთავრობის ვალი მშპ-სთან შენარჩუნდება სტაბილურ დონეზე. ვალის აღება განხორციელდება გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისთვის.

ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐ

● განხორციელდება შრომის ბაზრის სიღრმისეული ანალიზი, როგორც მიწოდების. ასევე მოთხოვნის მიმართულებით.

● სახელმწიფო უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდას კარიერული დაგეგმვის, მომზადებისა და გადამზადების კუთხით.

● სახელმწიფო აქტიურად შეუწყობს ხელს პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობას პროფესიული გადამზადების პროცესში.

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲒᲐᲠᲔᲛᲝ

● დაცული იქნება საკუთრების უფლების ხელშეუვალობის პრინციპი;

● გაძლიერდება დიალოგი ბიზნესთან, კერძო სექტორში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მოგვარებისთვის. გაძლიერდება ბიზნესომბუდსმენის ინსტიტუტი;

● შენარჩუნებული იქნება და დაიხვეწება მარტივი და სამართლიანი საგადასახადო ადმინისტრირების წესები. ამასთან, საგადასახადო და მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობა ორიენტირებული იქნება გადასახადებისგან თავის არიდების პრევენციაზე;

● გაგრძელდება ციფრული და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც, ერთი მხრივ, საშუალებას მისცემს ბიზნესსექტორს, ისარგებლოს თანამედროვე და ეფექტიანი მომსახურებით, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს გადასახადებისგან თავის არიდების რისკების შემცირება და სამართლიანი საგადასახადო ადმინისტრირება;

● საგადასახადო ადმინისტრირებაში დაიწყება ავტომატური დეკლარირების სისტემის დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს საგადასახადო ორგანოებთან ბიზნესსუბიექტების მუშაობის დროს და საჭირო რესურსს;

● მოხდება საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის კანონმდებლობასთან;

● გაანალიზდება სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები, მათი ეფექტიანობის და მიღწეული შედეგების გათვალისწინებით, განხორციელდება მათი მოდიფიცირება;

● გაგრძელდება მეწარმეებისთვის საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობა, არსებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების პოტენციალის ათვისება, რომლის ფარგლებშიც მეწარმეებს ხელი შეეწყობათ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი წარმოების და სისტემების განვითარებაში; ახალი ბაზრების მოძიების მიზნით, განხორციელდება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების არეალის შემდგომი გაფართოება (ისრაელი, ინდოეთი, აშშ, ყურის არაბული ქვეყნები);

● აქტიური და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვისთვის. ასევე, განხორციელდება ბუნებრივი რესურსების მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვა, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილი იქნება ეკონომიკისთვის მაქსიმალური სარგებლის მიღება, მარაგების მართვის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;

● საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, აქტიურად გატარდება „ერთი ფანჯრის პრინციპზე“ აგებული პოლიტიკა.

● გაძლიერდება საკოორდინაციო მექანიზმები როგორც ცენტრალური ხელისუფლების უწყებებთან, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობებთან. შედეგად, გაიზრდება კომუნიკაციის ეფექტიანობა საერთაშორისო და ადგილობრივ ინვესტორებთან;

● გაგრძელდება ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერა;

● გადახდისუუნარობის საქმისწარმოებასთან დაკავშირებული პროცედურების დასახვეწად გატარდება გადახდისუუნარობის სისტემის რეფორმა. გაჩნდება მეტი სტიმული საწარმოების რეაბილიტაციისთვის, მეტი გარანტიები კრედიტორთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველსაყოფად;

● ფართოდ დაინერგება რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ინსტრუმენტი, რაც მოგვცემს საშუალებას, თითოეული გადაწყვეტილების გავლენა ეკონომიკაზე იყოს წინასწარ გაანალიზებული შესაძლო ნეგატიური გავლენებისაგან თავიდან არიდების მიზნით;

● თითოეული რეფორმის თუ ინიციატივის განხორციელებამდე, შეფასდება მათი შესაძლო გავლენა საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციებზე;

● მიღებულ იქნება „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი, რომელშიც ასახული იქნება ასოცირების შეთანხმებითა და მისი დანართებით გათვალისწინებული ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციების მოთხოვნები, რითაც საქართველოს კორპორაციული სამართალი დაუახლოვდება ევროკავშირის კანონმდებლობას;

● კონკურენტული ბიზნესგარემოს ხელშეწყობისთვის მოხდება სახელმწიფოს ეტაპობრივად გამოსვლა ეკონომიკის იმ დარგებიდან, რომლებსაც აქვთ დამოუკიდებლად ფუნქციონირებისა და განვითარების პოტენციალი.

ᲛᲪᲘᲠᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

● საკრედიტო-საგარანტიო სქემა მნიშვნელოვნად გაუმარტივებს ფინანსებზე წვდომას მცირე და საშუალო ბიზნესს, ხელს შეუწყობს ეკონომიკის დამატებით დაკრედიტებას, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ლიკვიდობის გაუმჯობესებას.

● „აწარმოე საქართველოში“ სააგენტო კვლავ აქტიურად გააგრძელებს ადგილობრივი წარმოებისა და სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების, ექსპორტის ხელშეწყობისა და ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებებით მუშაობას.

● მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით სააგენტოს ინდუსტრიული მიმართულების კომპონენტის ფარგლებში გაგრძელდება საწარმოებისა და სასტუმროების სესხის პროცენტის თანადაფინანსება.

● ასევე აქტიურად გაგრძელდება საექსპორტო პოტენციალის მქონე კომპანიების მხარდაჭერა ექსპორტის განვითარების მიმართულებით სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების გზით (საერთაშორისო გამოფენები, საერთაშორისო სავაჭრო მისიები, საერთაშორისო კონფერენციები, B2B პლატფორმა).

● საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში გაგრძელდება ფინანსებთან წვდომის კომპონენტის - თანადაფინანსების გრანტების გაცემა.

● განისაზღვრება სტარტაპის სამართლებრივი დეფინიცია და სტარტაპის სტატუსის მოპოვების წესი, რაც საშუალებას მისცემს სტატუსის მქონე სუბიექტებს, ისარგებლონ სპეციალურად სტარტაპებისათვის შექმნილი პროგრამებით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ – ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲰᲐᲑᲘ

● მოხდება სატრანსპორტო სისტემების სრულყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, მულტიმოდალური და ინტერმოდალური გადაზიდვებისა და ლოგისტიკური ცენტრების განვითარების ხელშეწყობის გზით;

● გაგრძელდება მუშაობა ტრანს-ევროპულ სატრანსპორტო ქსელში (TEN-T) ქვეყნის სატრანსპორტო სისტემების ინტეგრაციაზე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების TEN-T-ის საინვესტიციო გეგმის შესრულების გზით.

● ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრის მშენებლობა ბიძგს მისცემს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში სატვირთო ტერმინალის განვითარებას.

● ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის დასრულება მნიშვნელოვნად შეამცირებს აზიასა და ევროპას შორის ტვირთების გადაზიდვისთვის საჭირო დროს.

● სამოქალაქო ავიაციის სფეროში ხელი შეეწყობა „ღია ცის“ პოლიტიკის გატარებას, რაც უზრუნველყოფს ახალი ავიაკომპანიების შემოსვლას ქართულ ბაზარზე, ახალი პირდაპირი ავიამიმართულებების განვითარებას, ფრენის ინტენსივობის ზრდას და გეოგრაფიული არეალის გაფართოებას, ავიამიმოსვლის ხელმისაწვდომობას, ასევე, ყოველწლიურად მგზავრთნაკადის მზარდი დინამიკის შენარჩუნებას.

ამ მხრივ, აღსანიშნავია ავიაკომპანია Ryanair-ის შემოსვლა საქართველოს საავიაციო ბაზარზე, რომელიც 2020 წლისთვის უკვე 3 მიმართულებით შეასრულებს რეისებს. ამასთან, ავიაკომპანია ეტაპობრივად გაზრდის პირდაპირ ფრენებს ევროპის მიმართულებით.

● განხორციელდება ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა საქართველოსა და შავი ზღვის ქვეყნებს შორის საბორნე და საკონტეინერო მიმოსვლის განვითარების მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს სატრანზიტო დერეფნის აღნიშნულ მონაკვეთზე არსებული გამოწვევების აღმოფხვრას და შემდგომ გაუმჯობესებას.

● მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ახალი აბრეშუმის გზის ფარგლებში კონკურენტული და ეფექტიანი რეგიონალური პროექტების განხორციელებას ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკის მიმართულებით.

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

ენერგეტიკული პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვის მიზნით:

● დამატებითი რესურსები გამოიყოფა რეგიონებში მოსახლეობის გაზიფიცირების უზრუნველსაყოფად, რის შედეგადაც 2020 წლის ბოლოსთვის გაზმომარაგებაზე წვდომა ექნება 1.3 მლნ. აბონენტს;

● დაიხვეწება და ევროპულ სტანდარტებს დაუახლოვდება ენერგეტიკის სფეროს კანონმდებლობა; „ასოცირების ხელშეკრულების“ ხელმოწერით და ამავე დროს „ენერგეტიკული გაერთიანების“ წევრობით საქართველო კავკასიის რეგიონში ქმნის „ენერგეტიკული გაერთიანების“ — ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობის გადმოტანის პრეცედენტს;

● ენერგეტიკის სექტორში განხორციელებული რეფორმების შედეგად მოხდება ენერგეტიკის შესახებ ახალი კანონის დამტკიცება, შეიქმნება ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზის კონკურენტული ბაზარი, რეფორმების განხორციელების შედეგად კონკურენციის ხელშეწყობით მოხდება მომხმარებლისთვის უწყვეტი, მაღალი ხარისხის და სამართლიანი ფასის ენერგიის მიწოდება. ასევე მოხდება რეგულირებული და დერეგულირებული საქმიანობის გამიჯვნა.

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

● ხელი შეეწყობა ეკოტურიზმის, როგორც საინტერესო ტურისტული პროდუქტის, განვითარებას;

● საკონვენციო ბიუროს საშუალებით მოხდება მეტი მაღალმხარჯველი ტურისტის მოზიდვა საქართველოში, ასევე ამ მიმართულებით განხორციელდება ღონისძიებების წახალისება, ინვესტიციების სტიმულირება და ხელშეწყობა;

● მოხდება სფეროში მომუშავე პერსონალის გადამზადება მომსახურების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებამდე გაზრდის მიზნით;

ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ

● გაგრძელდება საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმების იმპლემენტაცია;

● იგეგმება სარკინიგზო ტრანსპორტის დარგის „რესტრუქტურიზაცია“, ამ მიმართულებით ახალი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩოს რეფორმირების გზით, რაც ხელს შეუწყობს დარგის ეფექტურობის გაზრდას და სარკინიგზო სატრანსპორტო ოპერაციების უსაფრთხოებას;

● მნიშვნელოვანია საქართველოში მეზღვაურთა განათლების დონის აწევა და მათი დასაქმების მაჩვენებლის გაზრდა.

● საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის განსავითარებლად უმნიშვნელოვანესია, საქართველოს ყველა საზღვაო ნავსადგურში განხორციელდეს სამთავრობო სერვისების გაციფროვნება და ერთი ონლაინ პლატფორმის ქვეშ გაერთიანება.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲛᲝᲠᲒᲝᲨᲘᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ დაბეჯითებით სთხოვს ჩვენს ეკონომიკურ ექსპერტებს, დამაჯერებლად განუმარტონ მკითხველს ამ სახელმწიფოებრივი „დოკუმენტის“ ავ-კარგიანობა. მოგვწერეთ, გაგვაგებინეთ, ბოლოს და ბოლოს, გვეშველება რამე თუ არა?!

ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინეთ, რა ხდება!

— გამარჯობა შენი! — მიესალმა ერთი ნაცნობი მეორეს. ღმერთმა გაგიმარჯოსო, უპასუხა. რაფერაა თუ იცი, ქვეყნის საქმეო, ეკითხება. — რაფერ იქნება, ხომ გაგიგონია, დათვი თუ მოგერია, ბაბაია დოუძახეო... ვუძახით კი, მარა, როდემდე უნდა ვუძახოთ. აგი ნამდვილად არაა ჩვენი ანდაზა! — ასე დაასკვნა მოპასუხემ.

მე კი ვიტყოდი, რომ ჩვენი ანდაზაა, წყალი არ გაუვა. იგი ჭკვიანი კაცის მოგონილია. „ბაბაიობა“ პოლიტიკურ ენაზე დიპლომატობას ნიშნავს. მომრევ მტერს ისე უნდა მიუდგე, ხან დაუყვავო, ხან „ნაცარქექიული ხერხით და ღონით“ შეაეჭვიანო კიდეც — ამას რომ შეევეჭიდო, მთელ დუნიას შემომისევსო, — აფიქრებინო.

ასე და ამრიგად, იქნებ შეაჩერო მისი ძალადობა მანამ, სანამ გაერკვეოდე რა ხდება, სანამ ძალას მოიკრებდე, ნამდვილ მომხრეებს გაიჩენდე. ყოველივე ამის შემდეგ თუ გასცემ მტერს პასუხს, თორემ, სხვაგვარად როგორ გამოვა. გამოვა ალბათ ისე, როგორც გამოგვივიდა ამ თერთმეტი წლის წინათ და ახლა გინდა, მოეფერე, გინდა, ბაბაია ეძახე და გინდა, „ძამიკონე“, შორს არის წასული საქმე. მტერი მოგვერია...

ძალიან კარგად მახსოვს, უგუნურად დაწყებულ ომს რა უძღოდა წინ. არანაკლებ ისეთივე თავხედური და გამაღიზიანებელი, მალული და მზაკვრული გამოწვევები რუსეთის მხრიდან, როგორც ახლა, ამჟამად ხდება მტრის მავთულხლართებით დამახინჯებულ ქართლის მიწაზე. გულში სულ იმას ვფიქრობ, როგორ ითმენს ჩვენი ხალხი ასეთ უსამართლობას და შეურაცხყოფას, მტრის მეტი რა გვინახავს, თავს გვესხმოდნენ, იმართებოდა დაუნდობელი ბატალიები, მაგრამ რუსეთის მიერ მოფიქრებული ასეთი მზაკვრობა, გაიძვერული, სისხლიანი თამაშები ჩვენი ერის ნერვებზე, მართალი რომ ვთქვა, არსადაც არ წამიკითხავს და არც მსმენია. თურმე ეს „რუსული სამხედრო ხელოვნებაა“ და მე თუ არ ვიცოდი, მე ერთმა, რიგითმა მოქალაქემ, განა მთავრობას და მის სამხედრო ინსტანციებს არ უნდა სცოდნოდათ?

შავად გაგვითენდა 2008 წლის 8 აგვისტო... ყველამ კარგად ვიცით, რა როგორ იყო, თუმცა, სინამდვილე ბოლოს გავიგეთ, თორემ თავდაპირველად ჩემსავით გულუბრყვილოებს გვეგონა ჩვენს მიწებს, რაღაც საუბედუროდ და ჩვენდა სამარცხვინოდ, სამხრეთ ოსეთი რომ დაურქმევიათ და რომელიც ერთ დროს, ჩვენივე (იგივე მთავრობის) ბედოვლთობით სეპარატისტების ხელში აღმოჩნდა, ახლა, ზემდგომთა მოხერხებულობით და უნარიანობით უკან ვიბრუნებდით... ეჰ, რაც გვეგონა, გვეგონა... აწი რა გვეშველება, ის ვიკითხოთ, თორემ... ნეტა ასრულდება კი ოდესმე ჩვენი ოცნება, გაერთიანდება საქართველო? იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს, უიმედო კაცი რა კაცია, მაგრამ რა ეშველება თერთმეტი წლის წინანდელ იმ საბედისწერო ნაბიჯს, პირსისხლიან ომში რომ ჩაგვაბა, შედეგად მივიღეთ გადამწვარ-გადაბუგული სოფლები, ხოცვა-ჟლეტა და სიცოცხლეგამწარებული დევნილები... ყოველივე ეს გრძელდება 2008 წლიდან დღემდე, მაშინ თუ ნამდვილი ომი იყო, დღეს მალული მეკობრეობაა, ყაჩაღობა, მტაცებლობა, მგლების შემოსევა...მოგვტაცებენ ადამიანებს, მერე გამოსასყიდით თუ დაგიბრუნეს, ხომ კარგი, თუ არადა, მიცვალებულს შემოგიგდებენ, ან ამაზეც გაწვალებენ... ჩვენ რას ვაკეთებთ ამ დროს? ენაც ვერ ამოგვიღია, მთელი დემოკრატიული სამყარო შემოგვჩერებია, ხმა არ ამოიღოთ, „პროვოკაციაზე არ წამოეგოთო!“ ახლა ერთი წუთით წარმოვიდგინოთ იქ მცხოვრებთა მდგომარეობა, ფსიქოლოგიური განწყობა. ჩვენი გმირი და საოცარი ნებისყოფიანი ადამიანები, ისინი, ვინც ეგრეთ წოდებული საზღვრის პირას მოსახლეობენ, ცდილობენ, რომ მშვიდად გააგრძელონ ცხოვრება, რას იტანენ!

როგორ გინდა აუღელვებლად უყურო მტრის მზაკვრულ ქმედებებს, მავნებლობას და გაიძვერობას, გტაცებენ მიწას და სარჩოსაბადებელს, გამცირებენ, აბუჩად გიგდებენ. ვის ახსოვს ახლა ჩვენი წინაპრების მიერ გაღებული მადლი, სტუმართმოყვრულად კარის გაღება, მშიერის დაპურება, მწყურვალის დარწყულება. „გადაგვიხადეს“ , ახალი ისტორია გამოიგონეს და ეს მიწა ჩვენია, ოსეთი ვართო, ერთ დროს ქართველებმა წაგვართვეს, ახლა დრო დაგვდგომია, უკან ვიბრუნებთო — გაიძახიან მთელი მსოფლიოს გასაგონად, და მავთულხლართებით მოიწევენ და მოიწევენ შუა ქართლისკენ!.

გუგუტიანთკარის სოფელთან მეტისმეტი მოუვიდათ სეპარატისტებსა და ეგრეთ წოდებულ რუს სამშვიდობოებს (თუმცა სად არ იყო მეტისმეტი!). ჩვენს ათასწლოვან სახელმწიფოში ოსეთის საზღვრებს გაფაციებით დაეძებენ, „პოულობენ“ და აზუსტებენ ვითომ! რაღაც მადლით და ღმერთის წყალობით, დატრიალდა მთავრობა: შეძრეს ქვეყანა, შეაწუხეს ევროკავშირის წარმომადგენლები, 29 აგვისტოს შეხვედრა გაიმართა ერგნეთში, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების თანდასწრებით. მაგრამ რა, უკაცრავად და შეაყარე კედელს ცერცვი, კიდევ აქეთ შემოგვიტიეს, სოფელ წნელისთან ქართული პოსტი გააუქმეთო... დროც დაგვინიშნეს. ევროპის სადამკვირვებლო მისიაც კი გაკვირვებულია, ჩვენთან ულტიმატუმების ენით საუბარი მიუღებელიაო... განა ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები უნდა კარნახობდნენ, ქართულ სახელმწიფოს საკუთარი პოლიციური ძალები სად განალაგოსო? — აცხადებენ. საინფორმაციო მაუწყებლობა გვაცნობებს, რომ ხაშურის რაიონის სოფელ ჩორჩანაში შეხვედრა გრძელდება, მაგრამ ვინ იცის, რა როგორ დამთავრდება, რა შედეგს მიაღწევს საქართველო ამ, უკვე მერამდენე, შეხვედრიდან. დრო, რომელსაც ეს ჩახლართული საქმე ჩიხში ჰყავს შეყვანილი, არ მუშაობს ჩვენს სასარგებლოდ, რადგანაც დრომ კი არა, უგუნურებამ დაგვწია უკან. ძნელია ახლა სწორ გზაზე გადმოსვლა. **„ნებისმიერი გართულების შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა დაეკისრება რუსეთის ფედერაციას, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელ ძალასო“,** — აცხადებენ დამკვირვებლები, და მერე რა, რუსეთის „პასუხისმგებლობის“ ამბავიც კარგად ვიცით.

ასე რომ, „ბაბაიობას“ თავისი დრო და ვითარება თუ არ შეურჩიე, ვერ ამუშავდება ეს საოცარი „მექანიზმი.“ ამასობაში უამრავი რამ — საწუხარი, სატკივარი, საფიქრალი ხდება ჩვენს ქვეყანაში. დროის შესახებ ვჩივით, ჩამოვრჩითო, ვწუხვართ, მაგრამ, რას ვშველით? ლარის კურსი სულ დაჩაჩანაკდა. შეშფოთებით ვადევნებთ თვალს ამ მოვლენას.ნუ შეშფოთდები თუ გნებავთ, ყველაფერი გაძვირდა, საჭმელ-სასმელია მთავარი, თორემ სხვას კიდევ მოითმენს ადამიანი. ვიღაც-ვიღაცები დაუსრულებლივ მიტინგობენ — კულტურული ღონისძიებებით ერთობიან მთავრობის სასახლის წინ. ტელევიზია „რუსთავი-2“-ის ყოფილ თანამშრომლებსაც გაუსწორეს, პირდაპირ ეთერში ასაუბრეს, გულიდან ჯავრი ამოაყრევინეს. მთავრობამ კი ისევ დაიწყო პაიკების შეცვლა-შემოცვლა... არჩევნებამდეც ვერ მივიდნენ არსებული შემადგენლობით. რას გაიგებ, რა ჯობია და რა არა, და სწორედ ეს მიმაჩნია ქვეყნის უბედურებად, რომ ქვეყნის გულშემატკივრებმა არ ვიცით, რა ხდება, რატომ გვაჩვენებენ ძალიან ხშირად ხაზარაძე-ჯაფარიძის ორეულს, გააკოტრესო, ჯიბრში ჩაუდგნენო, ლაპარაკობს ხალხი. დიახ, ეს ასე ხდება, მითქმა-მოთქმები ვრცელდება, როდესაც დროულად არ აწვდიან ხალხს სიმართლეს, როდესაც სულ სასამართლოს უნდობლობაზეა საუბარი, ასეთ შემთხვევაში ხალხი თავად იგონებს ხან ზღაპრებს, ხან ნოველებს, თავადვე გამოაქვთ მსჯავრი როგორც მთავრობის, ასევე თითოეული მოვლენის მისამართით! ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გაგვაგებინონ რა ხდება!

გულნარა სტურუა

სოხუმი „ახალი კონფლიქტის საფრთხეზე“ ალაპარაკდა!

სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლება ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო საზღვართან შექმნილ ვითარებას საგანგებო განცხადებით ეხმიანება და „ახალი შეიარაღებული დაპირისპირების საფრთხეზე“ საუბრობს.



„ვითარება მყისიერად 24 აგვისტოს, მას შემდეგ დაიძაბა, რაც საქართველომ ცალმხრივი გადაწყვეტილებით ზნაურის რაიონის ოსურ სოფელ წნელისის უშუალო სიახლოვეს ბლოკ-საგუშაგო განათავსა და იქ ძალოვანი ქვედანაყოფები შეიყვანა. 1 სექტემბერს უპილოტო საფრენ აპარატთან ბრძოლის საბაბით ქართველმა ძალოვანებმა სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. ოსური მხარე პროვოკაციაზე არ რეაგირებდა და საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნია. მიუხედავად ამისა, მოსაზღვრე ტერიტორიის მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად შეიქმნა საშიში პრეცედენტი, რომელსაც სამომავლოდ შეიძლება, ძალზე სერიოზული შედეგები მოჰყვეს. ვითარებაზე სოხუმიდან დაკვირვების შედეგად ვხედავთ, რომ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის სახელმწიფო საზღვარი კვლავ იქცევა ფრონტის ხაზად და ეს თბილისის უპასუხისმგებლო და აგრესიული პოლიტიკის შედეგია. ცალსახაა, რომ ოსური დასახლებული პუნქტის სიახლოვეს თავად ქართველი ძალოვნებისა და მათი საგუშაგოს წარმოდგენილობა შესაძლოა, ღია შეიარაღებული დაპირისპირებისა და, როგორც შედეგი, ადამიანური მსხვერპლის მიზეზად იქცეს. ვიმედოვნებთ, რომ ქართული მხარის მოქმედება შეუმჩნეველი არ დარჩება ინციდენტის ადგილზე წარმოდგენილ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, რომელიც ვალდებულია, მსგავს შემთხვევებში კონფლიქტის შემდგომი ესკალაციის გამოსარიცხად შესაბამისი ზომები მიიღოს. ვთვლით, რომ შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი ამ ტერიტორიიდან ქართველი ძალოვნების გაყვანა და საგუშაგოს ლიკვიდაციაა. ეს ყველა მხარეს მოლაპარაკებათა რეჟიმში დაბრუნების, სადავო საკითხების გადაჭრისა და დაძაბულობის მოხსნის შესაძლებლობას მისცემდა“ — ნათქვამია აფხაზური ე.წ. უშიშროების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამასთან, სოხუმი აღნიშნავს, რომ „ქართული მხარე სისტემატურად უარყოფს აფხაზური მხარის წინადადებას სასაზღვრო საკითხების, კერძოდ, დელიმიტაცია-დემარკაციის თემების ერთობლივი ცივილიზებული განხილვის თაობაზე, რაც ხელს არ უწყობს ვითარების ნორმალიზებას, სახელმწიფოებს შორის ნდობის განმტკიცებას, პირიქით, ადასტურებს მეზობელი საქართველოს აგრესიულ ზრახვებს“.

ახალი სასაზღვრო ნიშნები ჩორჩანასთან

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა სოფელ ჩორჩანას სიახლოვეს ე.წ. სასაზღვრო ნიშანი დაამონტაჟა. როგორც მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ეს ნაბიჯი მათ „ქართული მხარის პროვოკაციების საპასუხოდ გადადგეს“.

როგორც საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები აცხადებენ, ზნაურის რაიონში ე.წ. ჰუმანიტარული ოპერაციის ახალი ეტაპი დაიწყო.

„ქართული მხრიდან პროვოკაციების შესახებ გასაფრთხილებლად, სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს სასაზღვრო რაიონში, კერძოდ, დასახლებულ პუნქტ წნელისთან მდებარე მაღლობზე მესაზღვრეებმა აღადგინეს სახელმწიფო საზღვრის აბრა და აღმართეს სამხრეთ ოსეთის დროშა. სამხრეთ ოსეთის მესაზღვრეები, რომლებიც ალანიის სახელმწიფოს საზღვრებს რუსებთან ერთად იცავენ, იძლევიან სტაბილურობისა და მშვიდობის გარანტიას“, — ნათქვამია ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის განცხადებაში.

ამავე განცხადებაში საოკუპაციო რეჟიმი საქართველოს „ე.წ. სამხრეთ ოსეთის სასაზღვრო ტერიტორიების ანექსიაში სდებს ბრალს“.

აუცილებლობა ენობრივი პოლიტიკისა

ის თემატიკა და პრობლემები, რაც თავმოყრილია ტარიელ ფუტკარაძის წიგნში, ცხოვრების ბუნებრივი მდინარეობისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების წეს-კანონებით კარგა ხანია ისტორიად უნდა ყოფილიყო გადაქცეული, ყოველ შემთხვევაში აღარაფერი ჰქონოდა საერთო ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევებთან, მაგრამ ცხოვრების არაბუნებრივი მდინარებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების მოშლის გამოისობით კვლავაც გამოწვევებად რჩება და წიგნიც სწორედ ასევეა დასათაურებული: „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“ (საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი და „უნივერსალი“, 2019).

ეს ყოველივე ენათმეცნიერების სფეროს არ უნდა გასცილებოდა.

არადა სცილდება.

არ უნდა დაკავშირებოდა პოლიტიკას.

არადა უკავშირდება.

და წიგნი ერთდროულად არის შეჯამება ავტორის მრავალწლოვანი ლინგვისტური ძიებებისაც და... პოლიტიკური, მეტიც, სახელმწიფოებრივი აზროვნების ნათელმყოფი მონოგრაფიაც — მეცნიერული ნაშრომიც და პოლიტიკური პამფლეტიც.

ის ანტიქართული ენობრივ-ეროვნული პოლიტიკა, რაც მიზანმიმართულად დამუშავებულიყო რუსეთის იმპერიის იდეოლოგთა მიერ და რუსი ჩინოვნიკობა და მათ სამსახურში ჩამდგარი ქართველი მოხელენი თანმიმდევრულად ცდილობდნენ მის ხორცშესხმასა და ყოფით რეალობაში დამკვიდრებას, მოიცავდა ჩვენი საერთო ცნობიერების მოშლა-დანაწევრებასაც, ზედ რომ უნდა წაბმოდა ქვეყნის სხეულის დაშლა-დანაწევრებაც.

„დაამტკიცებდი“ თუ არა, რომ მეგრული და სვანური უმწერლობო ენებად უნდა განგვეხილა, კიდეც მოჰყვებოდა მათი ავტონომიების გამოცხადებაც. და მეგრელებისა და სვანების შერაცხვა არა ქართველებად, არამედ ქართველთა მიერ დაპყრობილ და დაჩაგრულ ხალხებად, რომელთაც ბოლოს და ბოლოს — და უპირველესად მაინც რუსეთის ჰუმანისტური მისწრაფებების წყალობით — უნდა აღედგინათ თავიანთი ნამდვილი სახე.

ამ იმპერიული ენობრივ-ეროვნული პოლიტიკის მიმდევარი აღმოჩნდებოდა ნიკო მარიც, რომელსაც ვერ დავუკარგავთ მეცნიერულ მონაპოვარს საერთოდ და ქართველოლოგიაში, კერძოდ, და შესაფერის პატივსაც მივაგებთ, მაგრამ ასევე მოვალენი ვართ მიუდგომლად და მოურიდებლად შევაფასოთ მისი ის ანტიქართული ნაბიჯები, რაც ხელს უწყობდა იმპერიულ ძალადობას მეგრულ-სვანური მხარეების ჩამოსაშორებლად დედასხეულისაგან; და თბილისში რუსული უნივერსიტეტის დაარსების მოთხოვნითაც იმავე გზას აგრძელებდა: ანტიქართულს, ანტიხალხურს, ანტიჰუმანურს.

ამავე პოლიტიკის მიმდევარი აღმოჩნდებოდა **სტალინიც**.

იმპერატორთან მის, საერთოდ, ბოლშევიზმის — დაპირისპირებას ძალაუფლებისაკენ სწრაფვა გამოიწვევდა, თორემ ის იმპერიული პოლიტიკა უნდა შენარჩუნებულიყო და გამკვეთრებულიყო კიდეც.

ბოლშევიზმიც აქ ხედავდა საქართველოს დათრგუნვის გზას, ქართველთა ერთი ნაწილისათვის თავგზის აბნევაში: თქვენ ქართველები კი არა, მეგრელები ხართ, თქვენ ქართველები კი არა, სვანები ხართ, და თუ აქამდე უმწერლობო ხალხებად რჩებოდით, აწი მაინც უნდა გქონდეთ თქვენი ანბანიც და თქვენი ლიტერატურაცო.

ისტორია წაიღებდა იმპერატორების რუსეთს.

ისტორია წაიღებდა ბოლშევიკურ-კომუნისტურ რუსეთსაც.

მაგრამ... კვლავინდებურად გაგრძელდებოდა აგიტაცია-პროპაგანდა უმწერლობო ენების თაობაზე, და ეს უკვე ფსევდოლიბერალური ექსპანსიის მოძალებით.

ოღონდაც სად — საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოში!..

გასაკვირია და... აღარც გასაკვირი, როდესაც მოშლილი გაქვს ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრები, მავთულხლართებში გამოჭედილხარ და... თვალით ხილული მავთულხლართების გარდა სულიერებასა და კულტურაზეც არანაკლები ძალითა და დაუნდობლობით შემოხვეულა რკინის გისოსები.

და ქართველოლოგიაც კვლავ დგას იმ გამოწვევების წინაშე, ხან ნიკოლოზების სახელით რომ გასიმბოლოვებულა, ხანაც ლენინ-სტალინისა... და ახლა რატომღაც დასავლური აზროვნება დარქმევია, არადა სინამდვილეში რუსული პოლიტიკა არ გვეშვება ახალ ნიღაბაფარებული.

დიდძალი დოკუმენტური მასალაცაა თავმოყრილი ტარიელ ფუტკარაძის წიგნში: რუსული პოლიტიკის გამომხატველიც და მასთან დაპირისპირებული ქართველი მოღვაწეებისაც, და მთლიანი სურათის მიუკერძოებელი წარმოსახვა უფრო ხელშესახებს ხდის ამ შეურიგებელი ბრძოლის პერიპეტიებს, ჩვენთვის — სასიცოცხლოსი.

აქტუალურობა ამ თემატიკისა და პრობლემებისა უბიძგებდა წიგნის ავტორს, გამოცემისათვის დაერთო არამარტო რედაქტორის **მერაბ ჩუხუას** წინასიტყვაობა, არამედ ნუგზარ ანთელავას, ეკა დადიანისა და რევაზ შეროზიას რეცენზიებიც, საგულისხმო მოსაზრებებითა და დაკვირვებებით რომ ავსებენ ტარიელ ფუტკარაძის მრავალმხრივ მნიშვნელოვან და საფუძვლიან მსჯელობასა და არგუმენტაციას.

ეს აქტუალურობაა თემატიკისა და და პრობლემებისა, **ელგუჯა თავბერიძეს** რომ დააწერინებდა პოლიტიკურ პამფლეტს თადა აშორდიაზე: **„თოვლი მკათათვეში“** (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება და ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი, 2018), რომელიც თავისებურ დასაწყისადაც გამოადგება მკითხველს ტარიელ ფუტკარაძის მონოგრაფიისა, უბრალოდ ჟანრობრივად არიან განსხვავებულნი: ის, რაც ელგუჯა თავბერიძის პამფლეტში მხატვრულ-დოკუმენტური მანერითაა მოთხრობილი, ტარიელ ფუტკარაძის მონოგრაფიაში პირწმინდად მეცნიერული სტილითაა გადმოცემული.

ისე... ხომ არ გამოადგება ვინმეს **„ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“** საკმაოდ მყარ საყრდენად მხატვრულ-დოკუმენტური თხრობის გასაშლელად, რომლის შუაგულშიც შესაძლოა, მოექცეს თუნდ არნოლდ ჩიქობავა, ყველაზე კანთიელად ვინც წარმოდგება ტარიელ ფუტკარაძის წიგნში და ვის გარშემოც ტრიალებს ის უმწვავესი, ჯერაც ჩაუმქრალი სატკივარი?!.

ბოლოს და ბოლოს: ვინც სტალინის შეხედულებას დაუპირისპირდებოდა — მართალია დიპლომატიურად, მაგრამ მაინც — და გარეგნულად ნიკო მარის ნააზრევს რომ დაფშხვნიდა, არსებითად სტალინის შეხედულებას უცვლიდა გეზს.

არნოლდ ჩიქობავას დიპლომატიურ ხერხიანობას საგანგებოდ წარმოაჩენდა ტარიელ ფუტკარაძე, რათა მკითხველი ოდნავადაც არ დაბნეულიყო და არა ჰგონებოდა, თითქოს სახელოვანმა ენათმეცნიერმა გარკვეული შესწორებანი შეიტანა ადრინდელ თვალსაზრისში, თორემ მაშინ ვითომ მთლად ისეც არა ფიქრობდა, როგორც საბოლოოდ ჩამოაყალიბებდა.

იგი მეგრულს მოიხსენიებდა როგორც: უმწერლობო ზანური ენის დიალექტს — ლინგვისტურად, და ქართული ენის დიალექტს — საზოგადოებრივ-პოლიტიკურად.

ეს კი ნიშნავდა, რომ:

მეგრელი, საქართველოს სხვა კუთხეების ქართველთა მსგავსად, დიდი სამწიგნობრო კულტურის პატრონია (არ არის უმწერლობო ჩამორჩენილი ერი); მეგრელის ეროვნული ენა არის ქართული ენა; საკუთრივ მეგრული კი არის ქართული ენისგან წარმოქმნილი ტომობრივი ზანური ენის დიალექტი.

და ამ ხერხით — და უშუალო ჩარევითაც — რომ მოათავებდა არნოლდ ჩიქობავა გონებადაბნელებულ ადამიანთა ლაპარაკს სამეგრელოს ავტონომიის ირგვლივ, შემდგომ, თავისივე გაკვალული გზითაც, საშუალება მიეცემოდა მეგრული ქართული ენის დიალექტად გამოეცხადებინა. აწ უკვე აღარც დაესაჭიროებინა ზანურის ხსენება.

ტარიელ ფუტკარაძის წიგნში სხვა არაერთ საფუძვლიან მოსაზრებასა თუ დასკვნასთან ერთად ყურადღებას იქცევს თუნდ ეს პასაჟიც:

ბოლშევიკების მმართველობის პერიოდშიც მეგრული „ენის“ (და სამეგრელოს ავტონომიის) საკითხი წამოიჭრა არა სამეგრელოში, არამედ — რუსეთის იმპერიის ცენტრში, ამჯერად უკვე სტალინის კონცეფციის მიხედვით, და ამიტომაც შესაბამისად უსაფუძვლოა ეგრეთ წოდებულ მეგრულ „სეპარატიზმზე“ საუბარი; უფრო ლოგიკურია ვისაუბროთ კოლაბორაციონისტ პირებსა თუ მცირე ჯგუფებზე, რომელთა ანტიქართული მიმართულებით აქტიურობაც პროვოცირებული იყო იმპერიული ცენტრიდანო.

ავტორი ჩვენი სახელმწიფოებრივი ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთ ორიენტირად დასახავდა თავდაუზოგავ გარჯას, რათა შენარჩუნდეს ქართველთა დიდი საგანძური — ქართველთა დედაენის ზეპირი სახესხვაობანი: მეგრული იქნება, ლაზური, სვანური, ხევსურული, ტაოური, თუშური თუ სხვა დიალექტები.

ამ მიმართულებით აუცილებელი ხდება:

საქართველოს საჯარო სკოლაში ისწავლებოდეს ზოგადი ცნობები ქართველთა ენობრივი სამყაროსა და ცალკეულ ქართველურ დიალექტთა გავრცელების არეალის შესახებ.

და გარკვეულ რეგულაციას უნდა დაექვემდებაროს სკოლაში სწავლების პროცესში ქართველური დიალექტების გამოყენება.

რა იგულისხმება და:

სამეგრელოს, სვანეთის, აჭარის, საქართველოს მთიანეთის სკოლებში, ასევე — ირანის, თურქეთის, აზერბაიჯანის ქართველ მოქალაქეთათვის ქართული ენის სწავლებისას მასწავლებელს ექმნება საჭიროება, ადგილობრივი დიალექტური მეტყველებით აუხსნას მოსწავლეს სამწიგნობრო ენის სიტყვათფორმები, ოღონდ მასწავლებლის მიერ კუთხური მეტყველება არ უნდა წარმოჩნდეს როგორც არანორმირებული და არასაჭირო მეტყველება. განმარტებისას, აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია დაწყებით კლასში დამხმარე საშუალებად გამოდგეს ადგილობრივი მეტყველება (რაგადი), და ყველაფერი მოხდეს ისე, როგორც ამას გეგმავდნენ არნოლდ ჩიქობავა და მისი თანამოაზრე წინა თაობის სხვა ენათმეცნიერები.

მთავარი და უმთავრესი კი მაინც ის არის, ანუ რაც „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევების“ ქვაკუთხედს წარმოადგენს:

ისე დაიგეგმოს და განისაზღვროს ენობრივი პოლიტიკა და კულტურის განვითარება, რომ დროულად და შეუქცევადად ჩამოყალიბდეს საქართველოს მოსახლეობის — ეთნიკური წარმომავლობისდა მიუხედავად — მყარი სახელმწიფოებრივი ანუ ნაციონალური ორიენტირები.

ეს ყოველივე საშურია და ძალიანაც საშური.

მითუმეტეს:

სტალინი დასრულდა, თორემ სტალინიზმი კი არა...

განა რა მნიშვნელობა აქვს, რას დაირქმევს სტალინიზმი, რას ამოეფარება, რა ნიღაბს მოირგებს, საიდან შეეცდება თუნდ ქართული ენობრივი ერთიანობის რღვევას, საიდან ააფორიაქებს მედროვეთა თუ ერის ინტერესების გამყიდველთა გონებას...

ხოლო საშური რომ არის და ძალ-ღონის დაძაბვას მოითხოვს ჩვენგან, იმითაც უნდა დავადასტუროთ, რომ:

ტარიელ ფუტკარაძის „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“ — რაც შეიძლება მალე — ისტორიულ სურათად წარმოდგეს, გარდასული ხანის ანარეკლად და არა კვლავინდებურად სატკივარ-სადარდებლად.

სატკივარ-სადარდებელი გვაკლია განა, ესეც რომ არ გვემატებოდეს?!.

როსტომ ჩხეიძე

რატომ გადაავადა ნობელიანტმა ლიოსამ საქართველოში ჩამოსვლა?

82 წლის პერუელი მწერალი მარიო ვარგას ლიოსა თბილისში წელს აღარ ჩამოვა. ამის შესახებ მან რამდენიმე კვირის წინათ მოსწერა ქართულ მხარეს და წერილში ერთ-ერთ მიზეზად ის რყევები დაასახელა, რომელიც, მისი თქმით, უკანასკნელ თვეებში კულტურის სფეროში განხორციელდა.

ნობელიანტი მწერალი თბილისში „წიგნის ეროვნული ცენტრის“, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სერვანტესის ფონდის მოწვევით 17 სექტემბერს ხუთდღიანი ვიზიტით უნდა ჩამოსულიყო. ლიოსას ქართველი მთარგმნელის ლანა კალანდიას ინფორმაციით, მწერლისა და მისი მეუღლისთვის ლიოსას ქართულ გამომცემლობა „ინტელექტს“ შეძენილი ჰქონდა ბილეთებიც, თუმცა, ვიზიტი ჩაიშალა.

ვრცლად ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში.

კაცებს კვლავ ვაქებ შემხვედრთ გზადაგზა,
ან სად მიდიან, ან ვინ დარაზმა,
ქალებსაც ვაქებ, ვით ძველ ანდაზას.

* * *

როს საიქიო აივსება ახლით და ძველით,
და დააწვება სამყაროს თალხი,
არ დაივიწყოთ
1916 წელი,
როს პეტროგრადში ჩაიყლაპა ლამაზი ხალხი.

5. მაიაკოვსკი ხელოვნებასა და შემოქმედებაზე

* * *

ერთი დაბეჭდილი ჩმახი რამ კიდევ ორს უქმნის იმის რწმენას, რომ იმთ შეუძლიათ არცთუ უფრო უარესად წერა. ეს ორი დაწერს რა და დაბეჭდავს კიდეც, შურს აღუძრავს უკვე ოთხს.

* * *

ჯადარაშერთულს
მეწვევა ქალი,
თავს წარმომიდგენს
მგრწყინავ ალმასად:
„ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ,
ჩემო სიცოცხლევ,
თუ ნებას დამრთავ,
მოგიჯდები
და რასმე დავწერ,
რომ გაგეხარდეს,
ისე ლამაზად.

* * *

თუ შემოქმედნიც
თქვენისთანა ხალხია,
მიმიფურთხებია ყოველგვარი
ხელოვნებისთვის.

* * *

განა კინემატოგრაფმა მოკლა ადამიანი და არა თეატრმა, რეჟისორის ნებას და მოძრაობას მორჩილად აყოლილმა?

* * *

ადრე ვფიქრობდი –
წიგნს ქმნიდნენ აგრე:
პოეტი დინჯად გახსნიდა ბაგეს,
და მიხედავდა წიგნს
მოამაგე!
სულ შევიცვალე
სტამბაში გუშინ,
ყურში ჩამესმა
ჩურჩული მუშის,
კი არ ჩამესმა, თითქოსდა შევსვი.
ეგ წარმოსახვა აცურდა გულში,
როგორც დამფრთხალი
ნაფოტა თევზი.

* * *

უსაშველო მტეხიარება სილამაზის სუყოველ არეში რომ გვეწყება მომავლის ხელოვნებისთვის, ანუ ფუტურისტთა ხელოვნებისთვის, არა ჩერდება და არც შეუძლია გაჩერება თეატრის კარიბჭის წინ.

* * *

კინემატოგრაფის გამარჯვება უზრუნველყოფილია, რამეთუ იგი მთელი თანამედროვე თეატრალური ხელოვნების ლოგიკური შედეგია, რასაც გულსადაგ დრამატურგთა დადგმას უკიდურესად დეკორაციულობით გამორჩეულ რეალიზმამდე რომ მივყავართ.

* * *

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №170-175

ხელოვნება ბუნების ასლი არ არის და არც ის ამოცანაა, რომ ასე დააგონჯოს ბუნება, როგორც იგი მაგრდება და მახსოვრდება სხვადასხვა ცნობიერებაში.

* * *

ხელოვნების ისტორია, თუკი მეცნიერებად გახდომის უნარი აქვს, საზოგადოებრივი მეცნიერება იქნება.

* * *

თუ ამჟამინდელი თეატრის საქმიანობას მარტივსა და იაფ სამანქანო წარმოებამდე დავიყვანთ, კინემატოგრაფი გვაიძულებს ხვალინდელ თეატრზე – ანუ თეატრის ახალ ხელოვნებაზე ფიქრს.

* * *

მსახიობი ბელადად რჩება, კინემატოგრაფი მხოლოდ სცენიდან დევნის ჩვეულებრივ მსახიობთ და თან მიაქვს, თუმცა ასლი, ოღონდ შემოქმედების დიდი მომენტებიდან.

* * *

ხელოვნება ქმნის მაღალ იერსახეებს, კინემატოგრაფი კი, ვით სასტამბო დაზგა წიგნს, ამრავლებს და მიმოფანტავს იმ იერსახეთ დედამიწის ყოვლის უფრო მიყრუებულ და შორეულ ადგილებში.

* * *

ის (კინემატოგრაფი) ხელოვნების საგანგებო სახეობად ვერ გახდება, მაგრამ დამსხვრევით ისევე ადვილად შეიძლებოდა იმისი დამსხვრევა, როგორც საწერი მანქანის ანდა ტელესკოპის დამსხვრევა მხოლოდ იმისთვის, რომ ამ საგანთ არცრა უშუალო დამოკიდებულება არა აქვთ არც თეატრთან და არც ფუტურიზმთან.

„მე ვარ პოეტი და ამით ვარ საგულისყურო“

ასე ამბობდა ვლადიმერ მაიაკოვსკი

ქართულად გადმოაენა ვყრამ ბოგიაშვილმა

* * *

გუნება ოდენ მასალაა, რომელსაც მხატვარი თავის ჭკუაზე ექცევა, როგორც უნდა, ისე, მხოლოდ ერთი პირობით: შეისწავლოს ცხოვრების ხასიათი და ისეთ ფორმებად ჩამოასხას, ამ მხატვრამდე არავისთვის ცნობილი რომ არ ყოფილა.

* * *

გუშინდელი დღის თეატრს კინემატოგრაფისთვის მეტოქეობის გაწევა არ ძალუძს, ვინაიდან ცხოვრების ერთსა და იმავე მომენტის ასლს იღებს რა, გაცილებით სუსტად წარმოაჩენს.

* * *

საშემეცნებო სარისტა, ანუ თავგზიანობა – აი, ხელოვნების ერთადერთი მარადიული ამოცანა.

* * *

ნეკრასოვი, როგორც უგემრიელეს კვერებს, ისე აგებდა სტრიქონთ სამოქალაქო იდეათა მკედზე.

* * *

კინემატოგრაფი ასევე სასარგებლო იქნება მომავალი თეატრის დროსაც ვითარება-გარემოებისა და დეკორაციაზე შეხედულების ცვლილების ჟამს, ოღონდ მეტოქეობას ვერ გაუწევს თეატრს, როგორც ხელოვნებას, რომელიც დაკავებული იქნება სავსებით სხვა წესისა და რიგის მოვლენებით.

* * *

აწინდელი დღე ხელოვნებისა და პუბლიკის თვით მხატვართა მართლაცდა მძლავრი გულისყურის დღეა.

* * *

ერთხელაც რომ ამდგარიყო და თავისი სურათებითურთ თავს წამოგვდგომოდა მავანი ოდინდელი მხატვარი, ვთქვათ, ვერეშჩაგინი და ჩვენი კითხვის პასუხად: „რა მოგვიტანე, თვალს რით გაგვიხარებო?“ ამოეღო და „ომის აპოთეოზი“ ეჩვენებინა, შიშველ ველზე გაგორებული თავის ქალა, ალბათ, ეგრევე ვეტყოდით: გვესმის, რა სამოქალაქო გრძნობებითაც ხართ გამსჭვალული, ომი საშინელი რამ არის, მაგრამ გვითხარით, თუ კაცი ხარ, რა კავშირი აქვს ომს ფერწერასთან? ომის საკითხს ბევრად უკეთესად ის ადამიანები გადაწყვეტენ, ვინც საგანგებოდ მიჩენილია ამ საქმეს, ვინც არაერთ საზოგადოებრივ მეცნიერებაშია ჩაბმული“.

ქადაგებულმა დიადმა იდეებმა მხატვარს „ზნეობა“ წაართვეს სურათში.

* * *

ჩვენ რის გულისთვის?

თვითგამორკვევა – აი, თანამედროვე ფერწერის ძირითადი საკითხი?

* * *

ყველანი, ვინც თავის თავს მხატვარს ეძახის, ძალიან დიდ საწაღმართო საქმეს ახელკეთილებენ, მაგრამ ფერწერასთან ამ საქმეს მხოლოდ მოსამზადებელი დამოკიდებულება აქვს. ამას სულაც ფიცხელ გულზე არ ვამბობ: მომაკვდავი ლომის ჩასაწიხლად.

* * *

ცხოვრების დუბლირება.

რისთვის? ცხოვრების მყვირალა საღებავებზე გუგებჩამოდღლებილს, მოძრაობის გველურ ხაზებს თვალდათვალ ადევნებულს, რიცხვთა და ასონიშანთა მოყვანილობაზე ნარუდუნებელს, მეორე ასეთივე ცხოვრებისგან ახალი დაღლილობა კი არ მოგნიაზებია, არამედ დასვენება, ანუ თამაში თვალთა.

* * *

აართვით ცხოვრებას სამხედველობო აღქმის ყოველგვარი ელემენტი, ხაზი, ფერი, ფორმა-მოყვანილობა, დღევანდელი დღის მუსიკის ხმაზე თავბრუდამხვევად ააშუშპარეთ და მოახელსაქმეთ სურათი.

ეს ცხოვრების მოთხოვნილებაა და ჩვენი, მხატვრების, წინადადებათა ამ მოთხოვნილებასთან შეუსაბამობაშია ჟამთა სიავის ფერწერის ტრაგედია.

* * *

და ამჟამინდელ რუსულ ფერწერაში წამლადაც ვერ ნახავთ ერთ სურათს.

* * *

ესენი ფერწერის ნოვატორები კი არა, საფერწერო ნოვატორ-ფრაზიორები არიან!

ვერასგზით ვერ გაიგეს საწყალთ, რომ ეს თავისუფლება ყვირილში როდია: მიდი, როგორც მოგიხდება! არამედ ტილოზე ფერწერულ საგანთა განლაგებისა და პირობების კვლევაში. ამრიგად, პრაქტიკაში ეს ორ ელემენტარულ წესად ჩამოყალიბდა: 1. თითოეული საგანი წარმოსახვის ღირსია; 2. საგანი მხატვრისთვის თვითმიზანი კი არა, მხოლოდ შესწავლის ობიექტია ფერის, ხაზისა და ფორმის თვალსაზრისით. როგორც ხედავთ, წესები მხოლოდ მუშაობის დასაწყისად არის საჭირო.

* * *

სუყოველი მწერალი აქციეს სიმართლის მქადაგებლად, სათნოებისა და სამართლიანობის აფიშად.

და ყოველთ ეჩვენებათ, რომ მწერალი ოდენ ერთ აზრს ჩაჰკირკიტებს, რომლითაც თქვენი დაცვა, გამოსწორება უნდა და დაფასებით მხოლოდ იმიტომ დააფასებენ, თუკი ცხოვრებას ახსნის და იმასთან ბრძოლას გასწავლის. მწერალთაგან იტყუებენ განათლების ჩინოვნიკთ, ისტორიკოსთ, ზნეობრიობის დამცველთ. არჩევენ საკარნახებელს გოგოლიდან, სწავლობენ მემამულური რუსეთის ყოფას ტოლსტოის მიხედვით, განიხილავენ ლენსკისა და ონეგინის ხასიათებს.

* * *

ახურდავებენ მწერალთ ქრესტომათიათა და ეტიმოლოგიათა მიხედვით და არა ნამდვილთ, ცოცხალთ, არამედ იმათ, გამოგონილთ, სისხლსა და ხორცს მოკლებულთ, დაფნის გვირგვინით ამკობენ.

* * *

ახალ სიტყვათა წინაშე მართლაც უხერხულად აცქმუტდნენ გენერლები პალიტრისგან.

* * *

პრაქტიკული შედეგი ერთია: როგორც კი რომელიმე მწერლის პოლიტიკურ შეხედულებათა სიბასრე ჩლუნგდება, ამ მწერლის ავტორიტეტს ამაგრებს არა იმის მიერ შექმნილ ნაწარმოებთა შესწავლა, არამედ ძალა.

(გაგრძელება იქნება)

1925 წელი. მიტინგზე სოკოლნიკში

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲕᲐᲚᲬᲘᲝᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲜᲐᲪᲗᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲥᲡᲔᲚᲘᲚ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ?!

„ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲘᲡ“ ᲘᲥᲘᲗ ᲫᲕᲠᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ!

„ᲓᲘᲓᲘ ᲨᲕᲘᲓᲔᲣᲚᲘᲡ“ შეხვედრამ, რომელიც საფრანგეთში გაიმართა, ვერ დატოვა ისეთი შთაბეჭდილება, როგორც ადრე გამართულმა შეხვედრებმა, თუმცა არც წინა შეხვედრები გამოირჩეოდნენ ნიშანდობლიობით – მსოფლიოს პრობლემების მოწესრიგების თვალსაზრისით.

„დიდი შვიდეულის“ შეხვედრას იშვიათად მოაქვს სარგებელი, მაგრამ საზოგადოებას იმედი აქვს, რომ სამიტი არ გააუარესებს ვითარებას. მსოფლიო ეკონომიკის არცთუ სახარბიელო მდგომარეობა, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის პრობლემების მოუგვარებლობა საჭიროებენ ახლებურ მიდგომას აშშ-ის და მისი მოკავშირეების მხრიდან, რასაც არა აქვს ადგილი.

„ბიარიცში გამართულმა შეხვედრამ ვერ გასცა პასუხი აღნიშნულს და ნაცვლად სწრაფი მოქმედებისა – ქაოსი შეიტანა არსებულ მდგომარეობაში“, – წერს **„ბლუმბერგი“**.

სააგენტოს მიხედვით, ქაოსი იყო ის მთავარი მამოძრავებელი, რომლითაც გამოირჩეოდა სამიტი. აშშ-ისა და ჩინეთის „სავაჭრო ომი“, ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხები, უკრაინა, რუსეთი, კლიმატი (დათბობის პრობლემები) და სხვ. მათ შორის ამაზონის ხანძარი, „შვიდეულისგან“ მოითხოვდა სერიოზულ მსჯელობას, მაგრამ მთავარი მოქმედი პირის (პირების) რუსეთისა და ჩინეთის არყოფნამ სამიტს გამოაცალა საკითხების სიღრმისეული განხილვის შანსი.

ჩინეთი, მსოფლიოს მეორე ეკონომიკა, არასდროს ყოფილა „დიდი შვიდეულის“ წევრი, ამდენად მისი ბიარიცში ყოფნა პროტოკოლით არ იყო დაგეგმილი. არც რუსეთის მონაწილეობას ელოდა ვინმე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი მონაწილეობდა „დიდი რვიანის“ ფორმატში 2014 წლამდე. ყირიმის ანექსიისა და დონბასში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, „დიდი რვიანი“ ისევ დაუბრუნდა „დიდი შვიდიანის“ ფორმატს – ურუსეთოდ.

„შვიდეული“ დასრულდა შემაჯამებელი დეკლარაციის გარეშე, თუმცა მცდელობა ამის თაობაზე არც ერთს არ ჰქონია. მიზეზი ამისა მთელ რიგ საკითხებში აზრთა კარდინალური სხვაობაა. მაგალითად, ბრიტანეთი და ვერაკავშირი ერთმანეთთან მუქარაზე არიან გადასული „ბრექსიტიდან“ გამომდინარე. საფრანგეთი და აშშ იმუქრებიან ერთმანეთის წინააღმდეგ **„სავაჭრო ომის“** გაჩაღებით. ირანთან დაკავშირებით ვაშინგტონის პოზიცია სამიტის სხვა მონაწილეებისგან განსხვავებულია – ისე როგორც რუსეთთან მიმართებაში, ანუ რუსეთის „დიდ შვიდეულში“დაბრუნება.

ეს საკითხი განხილულ იქნა მაკრონსა და პუტინს შორის, სამიტამდე ორი დღით ადრე. მაშინ მაკრონმა პუტინს შესთავაზა დაბრუნება ყირიმის და დონბასის საკითხების მოგვარების შემდეგ. რა იგულისხმება ყირიმის საკითხის მოგვარებაში?

არც მეტი, არც ნაკლები – ყირიმის უკრაინისთვის გადაცემა და დონბასის საკითხის მინსკის შეთანხმების მიხედვით გადაწყვეტა.

ყირიმი, რუსეთის შემადგენელი ნაწილია და სრულიად შეესაბამება ნახევარკუნძულის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის სურვილს, რაც მან რეფერენდუმით დაამტკიცა – ასეთია პუტინის აზრი.

რაც შეეხება დონბასს, რუსეთი დაჟინებით მოითხოვს მინსკის ხელშეკრულების შესრულებას, რომელსაც პოროშენკოს ხელისუფლება კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. თუ რა იქნება ახალი პრეზიდენტის ზელენსკის მმართველობის დროს – ძნელი სათქმელია, ვინაიდან ამ დარგში მისი პოზიცია არაფრით განსხვავდება წინამორბედის პოზიციისგან.

რამდენად გულუბრყვილო უნდა იყოს დასავლეთი, კერძოდ, **„დიდი შვიდიანის“** წევრი ქვეყნები, რომ **„შვიდიანში“** რუსეთის დაბრუნების საკითხი დააკავშიროს რუსეთის მიერ ყირიმის უკრაინისთვის დაბრუნებას.

რუსეთის **„შვიდიანში“** დაბრუნების თემა მარტო მაკრონს არ წამოუყენებია, გაცილებით მყარად და სერიოზულად თქვა ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა – **„რუსეთის „შვიდეულიდან“ გარიცხვა გამოწვეული იყო ყოფილი პრეზიდენტის ობამას შურისძიებით პუტინის მიმართ, რომელმაც აჯობა მას“**.

როგორც ბრიტანული პრესა აღნიშნავს, ტრამპს ლამის ჩხუბამდე მისული კამათი ჰქონდა „შვიდეულის“ წევრებთან რუსეთის დაბრუნების გამო, თუმცა საკითხი ვერ გაიტანა. **„ჩვენ გვქონდა საგნობრივი დისკუსია რუსეთთან და პუტინთან დაკავშირებით, ვნახოთ, ვფიქრობ, ამ საკითხზე მუშაობა მიდის. ზოგიერთ ჩვენგანს სურს რუსეთის ხილვა „შვიდეულში“**.

მან არ გამორიცხა პუტინის მომდევნო სამიტზე მიწვევა, რომელიც აშშ-ში გაიმართება. პუტინის ყოფნა აუცილებელია ისეთი საკითხების განხილვის დროს, როგორებიცაა – ირანი, სირია, ჩრდილო კორეა. ტრამპის აზრით, რუსეთი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი პარტნიორი მსოფლიოს საკითხების მოგვარების საქმეში.

ტრამპი სხვა თვალით უყურებს **„შვიდეულსაც“** და მსოფლიოს. მისი დევიზი არის მარტივი და პრაგმატული – ქვეყნებთან ურთიერთობის შედეგად რას მოიგებს აშშ. ტრამპის პოზიცია ისეთივეა, როგორიც სახელოვანი ინგლისელი პრემიერ-მინისტრის **პალმერსტონის – „ ინგლისს არც მუდმივი მოკავშირეები ჰყვანან და არც მუდმივი მტრები“**.

„ᲓᲘᲓᲘ ᲨᲕᲘᲓᲔᲣᲚᲘᲡ“ ᲡᲐᲛᲘᲢᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲛᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲐ, ᲐᲛᲘᲗ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ, ᲨᲔᲛᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ **„ᲣᲖᲝᲛᲝᲓ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“**, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲨᲘ. ᲨᲔᲛᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲐᲠᲐ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲔᲨᲘᲜᲝᲓᲔᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲓᲘᲓ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲣᲙᲐᲓᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲕᲐᲙᲐᲓᲠᲝᲗ, ᲐᲠ ᲓᲐᲕᲪᲘᲜᲝᲗ, ᲛᲐᲡᲮᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲕᲘᲒᲓᲝᲗ, ᲛᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲖᲔ ᲖᲔᲠᲔᲚᲔᲓ, ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲗ, ᲐᲑᲣᲨᲐᲓ ᲐᲒᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲕᲘᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲗ.

ყოველივე ამას და კიდევ მრავალ სხვას სისტემატურად აქვს ადგილი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ნაცვლად იმისა, ყველა ჩვენგანმა ჩვენს გულებსა და გონებაში ჩავიხედოთ და სერიოზული განსჯის შემდეგ ვთქვათ სათქმელი, ნაცთა მიერ გამოწერილ პროკლამაციას რუსეთის აგრესიულობისა და სხვა ანტიპუტინური ხასიათის თაობაზე დაუფიქრებლად ვითავისებთ და ვიმეორებთ, რითაც შეუგნებლად ხელს ვაფარებთ ნამდვილ დამნაშავეებს – სააკაშვილების, ბოკერიების, უგულავების, სხვების და სხვების სახით (მაინც რამდენი არიან).

ჩვენ წამითაც არ ვფიქრობთ, რომ მათი აზრის გამეორება მათი სასჯელისგან გათავისუფლების საწინდარია. როდესაც ტელეეკრანისთვის მუდამ სასურველი ნაცური სახეები საქართველოს გასაჭირში სხვას ადანაშაულებენ, თავიანთი დანაშაულის სხვაზე გადატანის მცდელობაა.

როდესაც ნაცი გიმტკიცებს რუსეთის აგრესიას, თავის აგრესიას და დანაშაულს ფარავს, არავინ ცდილობს მათთან შეკამათებას, არც „ოცნებელი“ რესპონდენტები და არც თოქ-შოუს წამყვანი ჟურნალისტები. არავინ უსვამს მათ მარტივ კითხვას – რამ გამოიწვია რუსული აგრესია? რამ გამოიწვია ოკუპაცია?

საზოგადოებას, მოწყვეტილს ნამდვილი, სწორი ინფორმაციისგან, იოლად შეუძლია დაიჯეროს ნაცთა არაობიექტური ლაპარაკი. იჯერებს კიდევაც და ისევე ლაპარაკობს, როგორც ნაცები. ხომ არ ნიშნავს ეს „ჭურის სინდრომს“, ანუ რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს?!

ნაცთა მოძულე საზოგადოება, რომ მენტალურად ნაცებს ემსგავსება – განა ძნელი დასაჯერებელია?

საზოგადოება, დაუფიქრებლად მყვირალა რუსთა „ბარბაროსობაზე“, ისეთივე ნაცურია, როგორებიც სააკაშვილი და სააკაშვილები, არადა, ზოგიერთს სააკაშვილის გაგონებაც არ სურს... და თუ ასეა, რატომ იმეორებს ნაცთა ნათქვამს?

არაერთხელ მითქვამს – არავითარ აგრესიას და ოკუპაციას ადგილი არ ექნებოდა, რომ არ ყოფილიყო ნაცური აგრესია ცხინვალზე, რომ არ დაეხოცათ 60-ზე მეტი რუსი მშვიდობისმყოფელი.

მოდით, გულახდილად დავსვათ კითხვა – როგორ მოიქცეოდა აშშ ან ნებისმიერი ძლიერი სახელმწიფო, მსგავსი რამ მეზობელ ქვეყანას ჩაედინა?

ვგონებ პასუხი ისეთი იქნება, საპასუხო „აგრესია“ რომ ჰქვია. მაშ, რას ვიმუქრებით, რას ვკადრულობთ, რას ვიტყუებით სხვის გასაშავებლად და საკუთარი ქცევის გასათეთრებლად?!

ნაცვლად იმისა **„რეალ პოლიტიკიდან“** გამომდინარე შევაფასოთ ჩვენი მდგომარეობა და შესაბამისი ნაბიჯები გადავდგათ – წივილ-კივილს, ლანძღვა-გინებას მივმართავთ, ვაწუხებთ ყველას – აქ აკრედიტებულ უცხოეთის დიპლომატებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და ა.შ.

ამას წინათ ერთმა ნაცმა ტელეეთერში ბრძანა – მაკრონ-პუტინის შეხვედრის დროს საქართველო არ უხსენებიათო და ამაში ხელისუფლება დაადანაშაულა. მისი აზრით, საქართველოს ხსენება უნდა ყოფილიყო **„დიდი შვიდიანის“** სამიტზე, სხვა საერთაშორისო ფორუმებზე.

პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებელ ამ ყმაწვილ გოგო-ბიჭებს საქართველო დედამიწის ღერძი ჰგონიათ, რომლის ირგვლივ ტრიალებს მსოფლიო. საზოგადოება ვერ ამჩნევს, როგორ ემსგავსება ის სააკაშვილსა და მისთანებს; როგორ ახასიათებს ის მეზობელ რუსეთს; როგორ ცდილობს, ამ ქვეყნისგან ისეთი საზარელი დევი დახატოს, მწყურვალ ხალხს წყალს რომ უკეტავს.

„გამდიდრდა“ გაზეთები ჩვენი კორიფეების მიერ ოდესღაც დაწერილი ანტირუსული გამონათქვამებით, თუნდაც ასეთით: „რუსები, მოვიდნენ თუ არა საქართველოში, მაშინვე სწვდნენ ქართველ ერს სულის სიღრმეში და მოინდომეს მისი გადაგვარება, მისი თავისებურების მოსპობა. მათ თანდათანობით მოსპეს ჩვენი ეროვნული სკოლა. ... „– გრიგოლ რობაქიძე.

„რუსეთი, პოლიტიკური თვალსაზრისით, არასოდეს იქნება საქართველოს მეგობარი. იგი იყო, არის და დარჩება საქართველოს მტერი.“ – აკაკი ბაქრაძე.

„უპირველეს ყოვლისა, როგორმე უნდა გავაცნობიეროთ, სამასწლიან ომში რომ ვართ ჩართულნი და აგვისტოს ომი, მხოლოდ ეპიზოდია ამ ომისა.“ – ოთარ ჭილაძე.

ვაშა! შეძახილიც ასეთი უნდა! მაგრამ დღეს, ერთობ უმძიმეს ხანაში საქართველო რომ იმყოფება, ასეთი ანტირუსული „შეძახილები“ უშველის საქმეს?

იქნებ სულმანათი ილიასთვის მიგვემართა რუსეთის შესაფასებლად?

მას ხომ არაერთი სიღრმისეული, შინაარსიანი, საფუძვლიანი და მნიშვნელოვანი რამ აქვს ნათქვამი ჩვენსა და რუსთა ურთიერთობებთან დაკავშირებით. დიდი ილიას ანდერძს მივყვეთ, თუ ნახსენები მწერლებისას?

ვგონებ, კითხვაც უადგილოა. ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება და ნაცვლად იმისა ხელი შევაშველოთ, პირიქით ვიქცევით.

საზღვრის გადმოწევის ამბავი უცბათ ვაცნობეთ ჩვენს მეგობარ ქვეყნებს, და მათაც მხარი დაგვიჭირესო – აცხადებენ ქვეყნის ოფიციალური პირები. 30 წელიწადია, მხარს გვიჭერენ, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს შემდეგ. მერე რა?

ნეტავ ვინმეს დაეთვალა საქართველოს **„მეგობარი“** ქვეყნების **„შეშფოთება-აღშფოთება“** და **„მხარდაჭერა“?**

ვერა და ვერ მივხვდით, რომ მათი **„საქმიანი“, „დამაიმედებელი“ „მხარდაჭერა“** განცხადებისთანავე ჰაერში უკვალოდ და უშედეგოდ იფანტება.

იქნებ გამოვფიზლდეთ, თავი დავაღწიოთ ნაცთა დაქსელილ სამყაროს, ვიფიქროთ რეალურად და გადავდგათ ქვეყნისთვის და არა ნაცთათვის სასარგებლო ნაბიჯები რუსეთთან მოლაპარაკებების საწარმოებლად.

დასავლეთთან ჩატარებულმა ექსპერიმენტმა სად მიგვიყვანა, ვიცით! იქნებ ჩრდილოეთი გვეცადა?!

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲩᲘᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
პოლიტოლოგი.

ცხინვალისკენ ე.წ. „საზღვრის“ უკვე თითქმის მეშვიდედია „დადგენილი“, სოხუმისკენ – მესამედი

ოკუპანტებს ცხინვალის მიმართულებით დე ფაქტო საზღვრის თითქმის მეშვიდედი აქვთ „დადგენილი“, ხოლო აფხაზეთის მიმართულებით – დაახლოებით მესამედი. ამაზე მეტყველებს „აქცენტის“ მიერ სუს-იდან გამოთხოვილი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.

„რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ განხორციელებული ე.წ. შემოღობვის (ბორდერიზაციის) პროცესი, რომელიც 2011 წელს დაიწყო, ხელოვნური ბარიერების, ღობეების, მავთულხლართების, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების ინსტალაციას, მიწათხრილების, ტრანშეებისა და ე.წ. ხანძარსაწინააღმდეგო ხნულების მოწყობას გულისხმობს.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით საოკუპაციო ხაზის საერთო სიგრძე 350 კმ-ზე მეტს შეადგენს. რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საოკუპაციო ხაზის გასწვრივ 53 კმ-ზე მეტი სიგრძის მავთულხლართები და ღობეები დუშეთის, გორის, ქარელის, კასპის, ხაშურის, ონის და საჩხერის მუნიციპალიტეტების სოფლების გასწვრივ არის გავლებული. ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, საოკუპაციო ხაზის სიგრძე დაახლოებით 145 კმ-ია, ხოლო რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ მოწყობილი ღობეების, მავთულხლართების, ტრანშეებისა და მიწათხრილების საერთო სიგრძე 48 კმ-ზე მეტია. ე.წ. ბორდერიზაციის უკანონო პროცესი ოკუპირებული გალის რაიონის ფიჩორის, ოტობაიას, ნაბაკევის, თაგილონის, დიხაზურგას, საბერიოს და ლეკუხონას მიმდებარე ტერიტორიაზე დასტურდება“, – აცნობეს „აქცენტს“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში.

უწყებაში აღნიშნავენ, რომ „რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული ოკუპაცია მხოლოდ უკანონო „ბორდერიზაციის“ პროცესით არ გამოიხატება და მან მნიშვნელოვანი ნეგატიური ასახვა პოვა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე ყველა სოფელსა და იქ მცხოვრებ ადგილობრივზე“.

ნატო თანახმაა მოლდოვის ნეიტრალიტეტზე

ნატო პატივს სცემს მოლდოვის გადაწყვეტილებას, შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი, – ამის შესახებ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა მოლდოვის პრეზიდენტთან იგორ დოდონთან შეხვედრისას განაცხადა.

„ვიცით, რომ მოლდოვას არა აქვს ნატოში გაწევრიანების სურვილი და ჩვენ პატივს ვცემთ ამ გადაწყვეტილებას. მტკიცედ გვწამს, რომ თითოეულ ერს საკუთარი კურსის განსაზღვრის უფლება გააჩნია“, – აღნიშნავს სტოლტენბერგი. ამასთან, მისი განმარტებით, „ნეიტრალიტეტი იზოლაციას არ ნიშნავს“.

თურქეთს სურს, ბირთვული იარაღი ჰქონდეს

თურქეთის პრეზიდენტის რეჯეპ ტაიპ ერდოღანის თქმით, მიუღებელია, რომ თურქეთს ბირთვული იარაღის ფლობის უფლება არ აქვს. თურქეთის პრეზიდენტის განცხადებას Reuters-ი ავრცელებს. **„ზოგიერთი ქვეყანა ფლობს რაკეტებს, რომელთაც ბირთვული იარაღის გადატანა შეუძლიათ, არა ერთი და ორი. მაგრამ ისინი გვეუბნებიან, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მათი ფლობა. ეს ჩემთვის მიუღებელია“,** – თქვა ერდოღანმა 4 სექტემბერს ქალაქ სივაში პარტია AK-ის წევრებთან შეხვედრისას. ერდოღანმა ასევე თქვა, რომ **„მსოფლიოში არ არსებობს განვითარებული ერი, რომელიც ბირთვულ იარაღს არ ფლობდეს“.**

1980 წელს თურქეთმა ხელი მოაწერა ბირთვული განიარაღების ხელშეკრულებას, 1996 წელს კი ბირთვული გამოცდის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც თურქეთის ტერიტორიაზე იკრძალება ბირთვული დეტონაცია ნებისმიერი მიზნით.

ირანი ბირთვული შეიარაღების გაძლიერების ახალ პროგრამას იწყებს

ირანის პრეზიდენტის ჰასან როჰანის განცხადებით, ირანი ბირთვული გადაიარაღების უპრეცედენტო განვითარებას იწყებს. პრეზიდენტმა ჰასან როჰანმა თქვა, რომ პარასკევს ქვეყანა ცენტრიფუგების განვითარებას ურანის გამდიდრების დაჩქარების მიზნით იწყებს. გასულ წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 2015 წლის ბირთვული შეთანხმება დატოვა და გააძლიერა ზეწოლა თეირანზე.

აშშ-ის საპასუხოდ, ირანმა შეთანხმების ორ მნიშვნელოვან პუნქტზე უარი თქვა. ირანმა გამდიდრებული ურანის ფლობის საერთაშორისო ნორმით დადგენილ ზღვარს 3.67%-ით გადააჭარბა. ნაკლებად გამდიდრებული ურანი, რომელსაც 3-5%-ნი კონცენტრაცია გააჩნია, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ატომურ ელექტროსადგურებში.

ძებნილი ჩვენს ფულებს საქმეში აბანდებს

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი ტელეკომპანია „ფორმულის“ 51%-იანი წილის მესაკუთრე გახდა.

სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, დანარჩენ 49%-ს თანაბრად ინაწილებენ მიშა მშვილდაძე – 12.25%; ირაკლი სალინაძე – 12.25%; გიორგი ლიფონავა – 12.25%; ზუკა გუმბარიძე - 12.25%. 3 სექტემბრამდე მათ საკუთრებაში იყო მთლიანი წილი.

დირექტორის პოზიციაზე რჩება ზუკა გუმბარიძე.

ცნობისთვის: კომუნიკაციების კომისიამ შპს „ფორმულას“ მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაცია 29 აგვისტოს მიანიჭა და უწყებრივ რეესტრში კერძო საერთო მაუწყებლად გაატარა. „ფორმულა“ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მაუწყებლობის დაწყებას 1 ოქტომბერს გეგმავს. 1 აგვისტოს დავით კეზერაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში ახალ ტელევიზიას ქმნის. ცნობილია, რომ „კურიერის“ ჟურნალისტების ნაწილი სწორედ ამ ტელევიზიაზე გააგრძელებს მუშაობას.

კომუნიკაციების კომისიამ მთავარ არხს საერთო მაუწყებლის ავტორიზაცია მიანიჭა

5 სექტემბერს კომუნიკაციების კომისიამ შპს „მთავარ არხს“ სპეციალიზებული გასართობი მაუწყებლობის ნაცვლად საერთო მაუწყებლის ავტორიზაცია მიანიჭა.

კომუნიკაციების კომისიას „მთავარმა არხმა“ მაუწყებლობის ავტორიზაციის მოდიფიცირების თხოვნით 26 აგვისტოს მიმართა. კომისიამ შეისწავლა კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც კანონის მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს და არხი უწყებრივ რეესტრში კერძო საერთო მაუწყებლად გაატარა.

არხი მაუწყებლობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 9 სექტემბრიდან დაიწყებს. შპს „მთავარი არხი“ ვალდებულია, დაიცვას მაუწყებლობის შესახებ კანონი, მათ შორის, კომისიის დადგენილებები, გადაწყვეტილებები და ავტორიზაციის ყველა პირობა.

„ჭკვიანი“ კამერები წითელ ხიდთანაც ამოქმედდა

ქვემო ქართლის რეგიონში, რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის ოთხ ლოკაციაზე სიჩქარის მზომი სექციური „ჭკვიანი“ კამერები ამოქმედდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კამერები შემდეგ ადგილებზე განთავსდა:

მე-17 კილომეტრიდან მე-20 კილომეტრამდე ნებადართული სიჩქარეა 90 კმ/სთ;

მე-20 კილომეტრიდან მე-17 კილომეტრამდე ნებადართული სიჩქარეა 90 კმ/სთ;

მე-20 კილომეტრიდან 21-ე კილომეტრამდე ნებადართული სიჩქარეა 70 კმ/სთ;

21-ე კილომეტრიდან მე-20 კილომეტრამდე ნებადართული სიჩქარეა 70 კმ/სთ.



შსს-ს ინფორმაციით, სიჩქარის სექციური კონტროლის სისტემით საქართველოს მასშტაბით უკვე 697 კმ სიგრძის საავტომობილო გზა გაკონტროლდება. ქვეყნის მასშტაბით სულ ჩართულია 3 952 ვიდეოკამერა, მათ შორის, 1345 ნომრის ამომცნობი და 2607 ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!



დღეს ედინბურგში

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები უკვე ედინბურგშია, სადაც შოტლანდიის ნაკრებთან საპასუხო ტესტ-შეხვედრას გამართავს.

მატჩი ლეგენდარულ „მარიფილდზე“ დღეს თბილისის დროით 22:30 საათზე დაიწყება და მისი პირდაპირი ტელეტრანსლაცია საქართველოს პირველ არხზეა დაგეგმილი.

შოტლანდიასთან თამაშის შემდეგ „ბორჯღალოსნები“ იაპონიაში ჩავლენ, სადაც მსოფლიო თასისთვის მზადებას გააგრძელებენ.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

ნადალის 33-ე!

ლეგენდარულმა ესპანელმა ჩოგბურთელმა რაფაელ ნადალმა ამერიკის ღია პირველობის მეოთხედფინალში არგენტინელი დიეგო შვარცმანი დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა. ეს მისი 33-ე ნახევარფინალია კარიერაში „დიდი სლემის“ ტურნირებზე.

ნადალი 6-ჯერ იყო ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში, 12-ჯერ — როლან გაროსის, 7-ჯერ — უიმბლდონისა და ახლა უკვე 8-ჯერ — US Open-ის.

წინა წლებში ის ნიუ იორკში 4-ჯერ გავიდა ფინალში და სამჯერ გაიმარჯვა. Australian Open-ზე მას 5 ფინალი უთამაშია და მხოლოდ ერთხელ მოუგია, უიმბლდონზე კი 5 ფინალიდან 2 ტიტული აქვს.

ყველაზე იღბლიანი მალიორკელისთვის როლან გაროსია. თუკი ის ნახევარფინალში გადიოდა, აუცილებლად იგებდა ტურნირს და ასე 12-ჯერ მოხდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ავაზაკები სპორტში

ციგის „გაფიცხებული“ კავები, დამხრჩვალი „მოცურავეები“, ჯანმრთელი „ინვალიდები“ და ძმანი მათნი

თაღლითობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში ისეთივე მრავალსახოვანია, როგორც ზოგადად, ცხოვრებაში. წარმატების არაკეთილსინდისიერი გზით მოპოვების, დაუმსახურებლად სახელის მოხვეჭისა და გარკვეული მატერიალური კეთილდღეობის დამსახურების მსურველთა არმია წლიდან წლამდე საკუთარი მიზნების მისაღწევად სულ ახალ-ახალი გზების ძიებაშია. ამდენად, სპორტული თაღლითობების ხერხების კოლექცია გაუგონარი ტყუილების უმდიდრეს ასორტიმენტს შეიცავს.

მაგალითად, შემოწმების შედეგად სპორტსმენ ქალებს შორის ბევრი მამაკაცი აღმოჩენილა, მოკრივეებს ხელთათმანებზე მოწინააღმდეგის თვალის ამწველი ნივთიერება წაუსვამთ (მაგალითად, ასე ყოფილა პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ორთაბრძოლის დროს **სონი ლისტონსა** და **მუჰამედ ალის** შორის, რაც პირველი მათგანის სეკუნდანტმა გათქვა). ოლიმპიადა-68-ის დროს კი რამდენიმე სპორტსმენი ქალი... ციგის კავებს ათბობდა სრიალის ხარისხის ასამაღლებლად.

ერთ-ერთი ბელგიელი ველოსიპედისტი ქალი, რომელიც 2016 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად ითვლებოდა, დაფარულ ელექტროძრავას იყენებდა, რომელიც ბორბლების ტრიალში ეხმარებოდა. საბჭოთა ხუთჭიდელი **ბორის ონიშჩენკო** დაშნის სახელურში ჩამონტაჟებულ „ჯადოსნურ ღილაკს“ იყენებდა, რის გამოც ოლიმპიადა-76-ზე უდიდესი სკანდალი მოხდა: აღმოჩნდა, რომ ფარიკაობის დროს ის ინგლისელ სპორტსმენს დაშნის წვერით არც შეხებია, თუმცა, ღილაკის დაჭერით ჩხვლეტა დაფიქსირდა და ნათურაც აინთო. საბოლოოდ შენელებულმა გადაღებამ ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა...

ისე კი, ხუთჭიდის ისტორიამ უფრო კურიოზული შემთხვევაც იცის. სპორტის ამ სახეობაში ყველა გუნდში 3-3 მონაწილეა და სპორტსმენები ხუთ დისციპლინაში — კონკურში, სროლში, სირბილში, ცურვასა და ფარიკაობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ჰოდა, **ტუნისელმა** „ჯიგიტებმა“, როგორც იტყვიან, ყველაფერი „ჩააფლავეს“, რისი შესაძლებლობაც იყო: ცურვისას — ლამის აუზში დაიხრჩვნენ, სროლისას — კინაღამ მსაჯი „გააგორეს“, ჯირითის დროს კი სამივე მონაწილე ცხენიდან გადმოვარდა. ბედად, ერთ-ერთ მათგანს მეტ-ნაკლებად სწორად შეეძლო დაშნის დაჭერა და რადგან სპორტსმენები ნიღბებით ასპარეზობდნენ, მუშკეტერებმა გადაწყვიტეს ყველას მაგივრად „ნომერ პირველი“ მოფარიკავე სარბიელზე მისულიყო. ცხადია, ტყუილი გამოაშკარავდა, და აქედან გამომდინარე — ყველა შედეგი გაუქმდა...

უნდა ითქვას, რომ ჩვეულებრივ სპორტსმენებთან ერთად აფერისტების ჩამონათვალში ვითომდა უნარშეზღუდულებიც არიან. ყველაზე გახმაურებული ასეთი ამბავი 2000 წლის პარალიმპიადაზე ინტელექტუალური დარღვევებით **ესპანელ** კალათბურთელებთან დაკავშირებით მოხდა: ერთ-ერთმა ესპანელმა ჟურნალისტმა გაიგო, რომ გუნდის 12 წევრიდან ათი სავსებით ჯანმრთელი იყო(!).

ასეთივე მხილების ავტორები იყვნენ ბრიტანული **ბიბისის** ჟურნალისტები, რომლებმაც სამზეოზე გამოიტანეს სამედიცინო კომისიების წევრთა მოტყუების ხრიკები, რისი მიზანიც უფრო სუსტ მოწინააღმდეგესთან პაექრობის უფლების მოპოვება იყო. საქმე ისაა, რომ ერთნაირი დაავადების მქონე სხვადასხვა პირებს შესაძლოა სხვადასხვა შესაძლებლობები ჰქონდეთ, რა მიზეზითაც სპორტსმენები კლასებად იყოფიან. ამ მიზნით თაღლითობის სხვადასხვა ხერხს იყენებენ, მაგალითად: ზოგიერთი სპორტსმენი კომისიის წევრების წინაშე ცივ წყალში ზის, რაც კუნთების ტონუსს აუარესებს. სხვები ხელს რამდენიმე დღით ელასტიური სახვევით იკრავენ, რის შემდეგაც იმის ილუზია იქმნება, თითქოს კაცი მკლავის გაშლას ვერ ახერხებს...

რამდენიმე წლის წინათ **რუსული** სპორტის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს, როსტოვის რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციის „დონის ინვალიდთა სპორტული კლუბის“ ხელმძღვანელს **ალექსანდრე კაჩანოვს** წამოსცდა, რომ რუსეთში ცრუბრმები არიან ცურვაში, გოლ მოლში (თამაში თვალისჩინდაკარგულთა შორის), მძლეოსნობასა და ფეხბურთში. ის იმასაც ამტკიცებდა, რომ მედკომისიების გაცურება ამ ხალხისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. მაინც, რაში სჭირდებათ ყოველივე ეს სიბინძურე? „ცრუინვალიდები მედლებისა და საპრიზო ადგილებისთვის, სხვადასხვა სადღეასწაულო თარიღებისთვის ძვირფას საჩუქრებს, ბინებსა და ავტომობილებსაც იღებენ, — აღნიშნავს კაჩანოვი. — ჟურნალისტები მათ ვაჟკაცად ადამიანებად წარმოაჩენენ, რომლებმაც სნეულებას სძლიეს და წარმატება სულიერ ძალთა უდიდესი მობილიზებით შეძლეს... არადა, ამაში აუარება სიყალბე და სისაძაგლეა“.

ამჟამად სპორტის უმეტეს სახეობაში დიდძალი ფული ტრიალებს, რაც ხარბ ადამიანებს ანდამატივით იზიდავს, ეს კი ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ ცრუსპორტსმენთა მხილებების სერიები კვლავაც გაგრძელდება.

ნინო ალექსანდრია

◎ მედიცინა

მაინც, რა არის ინსულტი?

ეს თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლაა, რომელიც განპირობებულია ტვინის სისხლძარღვოვანი პათოლოგიით.

სისხლძარღვოვანი დაავადებები გულისხმობს ყველა იმ დაზიანებას, რომლის მიზეზიც ტვინის სისხლძარღვებში პათოლოგიური პროცესია.



მეცნიერები მას თანამედროვე მედიცინის ერთ–ერთ დიდ გამოწვევას უწოდებენ, რომელიც დროულ დიაგნოსტირებასა და, შესაბამისად, მკურნალობას საჭიროებს. ინსულტი, რომელიც სიკვდილისა თუ ღრმა ინვალიდობის ყველაზე ხშირი მიზეზია, ადეკვატურ მართვას ითხოვს.

ამ დაავადების იშემიური ფორმა ვითარდება ტვინის სისხლძარღვების ემბოლიის, სპაზმის, თრომბოზის ან ათეროსკლეროზული ფოლაქით გამოწვეული სისხლის მიმოქცევის მკვეთრი დაქვეითების გამო, რომელსაც, როგორც წესი, ტვინის ქსოვილის შესაბამის უბანზე სისხლის მიწოდების შეწყვეტა მოჰყვება ხოლმე.

ჰემორაგიულ ფორმას კი ტვინში განვითარებულ სისხლჩაქცევას უწოდებენ, რომელიც უმეტეს შემთხვევაში არტერიული წნევის მომატებისას ვითარდება. ამის ფონზე რომელიმე სისხლძარღვის კედელი ზიანდება და ვითარდება ტვინის ნივთიერებასა და მის გარსებში სისხლის ჩაქცევა. განვითარებულ არასახარბიელო მდგომარეობას ტვინის შესაბამისი უბნისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების გაჩენა მოჰყვება.

როგორ ამოვიცნოთ სიმპტომები?

პათოლოგიისთვის დამახასიათებელია:

- ცნობიერების დაქვეითება;
- ძალის დაქვეითება კიდურებში;
- თავის ტკივილი;
- მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა;
- თავბრუხვევა;
- სახის მიდამოს, კიდურების დაბუჟება;
- სახის ასიმეტრია;
- მეტყველების დარღვევა;
- პირღებინება;
- დამბლა.

გამომწვევი მიზეზები

რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება მემკვიდრეობა, ასაკი, სქესი და აგრეთვე პაციენტებს ანამნეზში აღენიშნებათ შემდეგი პათოლოგიები:

1. გულის რევმატიული მანკი;
2. მიოკარდიუმის ინფარქტი;
3. არითმია;
4. შაქრიანი დიაბეტი;
5. ათეროსკლეროზული ცვლილება.

აღსანიშნავია, რომ გარდამავალი იშემიის (ე.წ. მინი, მცირე ინსულტი) დროს, სიმპტომები ძალიან ჰგავს თავის ტვინის ინფარქტს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სიმპტომები მცირე დროში ქრება. ამ დროს ორგანიზმი პათოლოგიის განვითარების რისკზე გვაფრთხილებს.

პათოლოგიის ხელახლა, განმეორებით განვითარების მთავარი მიზეზი კი საძილე არტერიების ფოლაქებია.

ასაკის მატებასთან ერთად რისკი იზრდება. ამასთან, სხვადასხვა ასაკისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა ცერებროვასკულარული პათოლოგია, მაგალითად, ათეროსკლეროზული თრომბოემბოლიზმი, კარდიოგენული ემბოლიზმი და პირველადი (ჰიპერტენზიული) ინტრაცერებრული ჰემორაგია, რომელიც ვითარდება საშუალო და ხანდაზმულ ასაკში.

ინსულტის ცენტრი

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინსულტიანი პაციენტის მოთავსება ისეთ კლინიკაში, რომელსაც შესაბამისი ცენტრი აქვს. სამწუხაროდ, სავალალო შედეგი დგება, როცა ავადმყოფი მკურნალობს საავადმყოფოში, სადაც პათოლოგიის მართვის ყველა თანამედროვე მეთოდი არ არის დანერგილი.

ქირურგიის ეროვნული ცენტრი პაციენტებს სთავაზობს პათოლოგიის მკურნალობის ყველა მეთოდს და მათ შორის საქართველოში ექსკლუზიურ თრომბექტომიას სისტემურ ვენურ თრომბოლიზისთან ერთად როგორც ცალ-ცალკე, ისე კომბინირებული მეთოდით.

ქირურგიის ეროვნული ცენტრის ნეიროქირურგებმა და ნევროლოგებმა არაერთი პაციენტის სიცოცხლე გადაარჩინეს და ინვალიდობისგან იხსნეს.

პათოლოგიასთან საბრძოლველად ყოველი წამი გადამწყვეტია! სწორედ ამიტომ თუ სიმპტომებიდან გამომდინარე ეჭვი ამ პათოლოგიაზე გაგიჩნდებათ, გაიხსენეთ ქირურგიის ეროვნული ცენტრი, სადაც დროული ტრანსპორტირების შემთხვევაში ინსულტიანი პაციენტის სიცოცხლისა და ინვალიდობისგან გადარჩენა შესაძლებელია.

გახსოვდეთ, ეს პათოლოგია თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა, რომლის დასამარცხებლად ქირურგიის ეროვნული ცენტრი ყოველდღე, 24 საათის განმავლობაში იბრძვის!

FOR.GE

შუახევში მოქალაქეებს გზაზე დათვი და ორი ბელი შეხვდათ

4 სექტემბერს შუახევის ერთ-ერთ სოფელში მოქალაქეებმა დათვი და ორი ბელი შენიშნეს.

adjaratv.ge-ს ინფორმაციით, დათვები ხიდზე გადმოდიოდნენ, როცა სოფელ ოქროპილაურის მცხოვრებლებმა ხმაური ატეხეს, ვიდეოში ჩანს, რომ დათვები სოფლის გზასთან ძალიან ახლოს იყვნენ.

ხმაურზე მტაცებელი თავის ორ ბელთან ერთად სწრაფად ტყეში მიიმალა.

სოფლის მცხოვრებლებმა ვიდეოს გადაღებაც მოასწრეს.

სოფლის მცხოვრებლები ამბობენ, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა სოფლის ცენტრში მტაცებელი მოდის. ეს კი განსაკუთრებული შემთხვევა იყო, რადგან დათვს ორი ბელი ახლდა.

ბრალდებული სპეცრაზმელი პატიმრობაში რჩება

20-21 ივნისის საქმეზე ბრალდებული სპეცრაზმელი თბილისის საქალაქო სასამართლომ პატიმრობაში დატოვა. სხდომაზე ბრალდებული სპეცრაზმელის ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის 5-ათასლარიანი გირაოთი შეცვლის თაობაზე. პროკურატურა დაცვის მხარის ამ პოზიციას არ ეთანხმებოდა და მიიჩნევდა, რომ რაიმე ახალი გარემოება, **რომელიც მის მიმართ შეფარდებულ აღკვეთის ღონისძიებას შეცვლიდა, არ გამოვლენილა.**



მოსამართლემ ადვოკატის პოზიცია არ გაითვალისწინა და ძალადობით, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის ბრალდებული პატიმრობაში დატოვა.

ლევან იმერლიშვილი სხდომას არ დასწრებია. მისი ადვოკატის ინფორმაციით, მიზეზი ბრალდებულის ჯანმრთელობის პრობლემაა.

ლევან იმერლიშვილი გამოძიებამ ივლისში დააკავა. მას ბრალდების მხარე ედავება მომიტინგეს მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენებას. ადვოკატის ინფორმაციით, იმერლიშვილი დუმილის უფლებას იყენებს.

მკვლელის თანამზრახველები დააპატიმრეს

გავრცელებული ინფორმაციით, ბერლინში ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელის სავარაუდო თანამზრახველები დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულებმა ვადიმ სოკოლოვის სახელით ცნობილ სავარაუდო მკვლელს ხანგოშვილის ლიკვიდაციის საქმეში მხარდაჭერა გაუწიეს და გაქცევის მარშრუტი მოამზადეს. აღნიშნული პირები ზელიმხან ხანგოშვილს ახლოს იცნობდნენ, ერთ-ერთი მათგანი მეგობარი იყო.

გერმანიაში ახმედ ზაკაევის წარმომადგენელმა რუბატი მიტსაევმა აღნიშნა, რომ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხანგოშვილის მკვლელობაში სავარაუდოდ მისი მეგობრები მონაწილეობდნენ.

თემქაზე, ერთ-ერთ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს

როგორც გარდაცვლილის მეზობლები აცხადებენ, ქალი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა მაშინ იპოვეს, როდესაც მეხანძრეებმა ბინაში ხანძარი ჩააქრეს.

ასევე, მეზობლების თქმით, ქალს ჭრილობა თავის არეში აქვს მიყენებული და ხანძარი, სავარაუდოდ, დანაშაულის დაფარვის მიზნით გააჩინეს.

ბრიტანეთში ქართველების დანაშაულებრივი დაჯგუფება გამოავლინეს!

დიდ ბრიტანეთში ქართველებისგან შემდგარი დანაშაულებრივი დაჯგუფება გამოავლინეს, რომელსაც ირლანდიიდან ბრიტანეთში მიგრანტები ფულის სანაცვლოდ არალეგალურად გადაჰყავდა.

როგორც ბრიტანული გამოცემა „დეილი მეილი“ წერს, დაჯგუფების ლიდერს, რომელიც 35 წლისაა, 5 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

მედიასაშუალების ცნობით, მას მიგრანტები, მათ შორის საკუთარი ოჯახის წევრებიც, დუბლინიდან უელსის ქალაქ ჰოლიჰედში ბორანით გადაჰყავდა.

დიდი ბრიტანეთის სასაზღვრო სამსახურის ინფორმაციით, დიდ ბრიტანეთში დიასამიძისა და მისი დაჯგუფების დახმარებით არალეგალურად ჩასული სულ მცირე 19 ადამიანი იმყოფება. ლიდერთან ერთად გასამართლებულია კიდევ ოთხი ქართველი მამაკაცი.

მიხაი ზიჩის გამოფენა პრეზიდენტის სასახლეში

უნგრეთის პრეზიდენტის იანოშ ადერის ვიზიტთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის მიერ „ვეფხისტყაოსნისთვის“ შექმნილი მინიატიურების გამოფენა მოეწყო.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 18 მინიატიურული ნამუშევარი და 1888 წელს გიორგი ქართველიშვილის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსანი, რომელიც სწორედ უნგრელი მხატვრის მიერ არის ილუსტრირებული. უნგრეთის პრეზიდენტი თბილისს მეუღლესთან ანიტა ჰერჩეხთან ერთად გუშინ ეწვია.

უნგრეთის პრეზიდენტის დახვედრის ოფიციალური ცერემონია გუშინ გაიმართა. დახვედრის ცერემონიის შემდეგ უნგრული და ქართული მხარე ერთმანეთს პირისპირ და გაფართოებულ ფორმატში შეხვდნენ და დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე ისაუბრეს როგორიცაა – პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, განათლება და ტურიზმი. შეხვედრის ბოლოს უნგრეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

„იუთუბი“ 170 მილიონი დოლარით დააჯარიმეს

როგორც „ბიბისი“ იუწყება, ვიდეოსტრიმინგის ვებგვერდი 13 წლამდე ასაკის ბავშვების მონაცემებს მშობლების თანხმობის გარეშე აგროვებდა და სარეკლამო მიზნებისთვის იყენებდა.

„იუთუბის“ ხელმძღვანელობა ვაჭრობის ფედერალურ კომისიასთან საპროცესო გარიგებას დათანხმდა და ჯარიმას გადაიხდის.

გარიგების თანახმად, ჯარიმის თანხის ერთ ნაწილს ვაჭრობის ფედერალური კომისია, ხოლო მეორეს ნიუ იორკის შტატი მიიღებს.

ამასთან, „იუთუბის“ მფლობელი კომპანია „გუგლი“ ვალდებულია, შეცვალოს სისტემა და ბავშვებისთვის განკუთვნილი კონტენტი მკაფიოდ იქნება მონიშნული. „გუგლს“ მოუწევს მონაცემთა შეგროვების დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია უფრო საჯარო გახადოს.

ავსტრალიელი ქალი მეზობლებს უჩივის

დასავლეთ ავსტრალიაში, ქალაქ პერთში ქალი საკუთარ მეზობლებს სასამართლოში უჩივის. სილა კარდენი აცხადებს, რომ მეზობლების ქმედებები, მათ შორის ბარბექიუს გახშირებული მზადება და ბავშვების ხმაური არღვევს სამოსახლო კანონს.

სილა კარდენის საჩივარი შტატის უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ დასაბუთება არამყარია, ხოლო სამხილები – არასაკმარისი.

სილა კარდენის საჩივარში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ მის სამეზობლოში მცხოვრებ მოქალაქეებს შეემცირებინათ წვეულებების განათებების გამოყენება, გაეჩუმებინათ ცხოველები და ქუჩაში, გაზონებზე ჩაენაცვლებინათ მცენარეები.

კარდენის განცხადებით, სიგარეტისა და ბარბექიუს სუნი მასზე „ირიბი ძალადობის“ ტოლფასია.

„ისინი გამუდმებით ამზადებენ ბარბექიუს, სულ თევზის სუნია, სახლიდან გასვლისას ერთადერთი რისი სუნიც მცემს, ეს თევზია. ჩემს ეზოში ყოფნით სიამოვნებას ვერ ვიღებ, მე იქ გასვლაც კი არ შემიძლია“, – აღნიშნა კარდენმა შტატის უზენაეს სასამართლოში საკუთარი პოზიციის დაცვისას. მოსამართლემ აღნიშნა, რომ მოსარჩელე მხარემ 400-გვერდიანი სარჩელი წარადგინა.

სილა კარდენი ადგილობრივ მედიასთან საუბარში აცხადებს, რომ შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და შემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას აპირებს.



რობოტი-მიმტანი... რესტორანში

სტამბოლის ერთ-ერთ რესტორანში სტუმრებს რობოტი-მიმტანები ემსახურებიან. ვიდრე რესტორნის მეპატრონე რობოტებს „დაასაქმებდა“ კვების ობიექტების მეპატრონეებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, თუ როგორ მოემსახურებოდა რობოტი სტუმრებს.

სტუმართა მეტი კომფორტისთვის რესტორანში მაგიდები აღჭურვილია სენსორული ეკრანებით, რომლითაც ხდება შეკვეთის გაკეთება. მომხმარებელი მენიუდან არჩევს კერძებს და ამის შემდეგ კერძების მომხმარებელთან მიტანას უკვე რობოტი „როზზი“ უზრუნველყოფს.

სიახლემ მომხმარებელში დიდი დაინტერესება გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, რესტორნის კლიენტურა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

რესტორნის მფლობელი ამბობს, რომ სპეციალური პროგრამის დაწერა, რომლითაც რობოტი მუშაობს ადგილობრივი პროგრამისტების მიერ მოხდა.

მეწარმის განმარტებით, ინოვაცია პირველ რიგში მომხმარებლის ინტერესს იწვევს, შემდეგ გაკვირვებას, საბოლოოდ მომსახურების მიღების შემდეგ კი სრულ კმაყოფილებას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

აქტიური პროცესები სექტემბერში

გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება სექტემბერში მოსალოდნელია 6-9, 13-15, 18, 21-23 და 28-30 რიცხვებში. ამ დღეებში მოსალოდნელია ციკლონების ფორმირება, ავარიულობის მომატება და სოციუმში დაძაბულობის წარმოშობა.

6 – მთვარის პირველი მეოთხედი, მთვარის იუპიტერთან შეერთება მშვილდოსნის თანავარსკვლავედში. სავარაუდოა არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვალებადობა. მოერიდეთ ურთიერთობათა გარკვევას.

8 – მთვარის სატურნთან შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში. მთვარე დაღმავალ კვანძშია. დიდია დეპრესიების, ფიზიკური სისუსტის წარმოშობის ალბათობა, მოერიდეთ სიმძიმეთა აწევას.

9 – მთვარის პლუტონთან შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში. საფრთხილოა ძვლებისა და სახსრების დაავადებები. მოერიდეთ ტრავმებს, გაციებას, დიდ ფიზიკურ დატვირთვებს.

13 – მთვარის აპოგეა, მთვარის შეერთება ნეპტუნთან თევზების თანავარსკვლავედში. დიდია საავარიო სიტუაციების წარმოშობისა და ტრავმების მიღების ალბათობა, სასურველია უარის თქმა ალკოჰოლის, ყავისა და ცხიმიანი საკვების მიღებაზე.

14 – სავსემთვარეობა მერწყულის თანავარსკვლავედში. გამორიცხული არ არის გულყრები, არტერიული წნევის ცვალებადობა, გულის ტკივილები. განსაკუთრებით მავნეა სტრესები და ალკოჰოლი.

18 – მთვარის შეერთება ურანთან კუროს თანავარსკვლავედში. გამორიცხული არ არის ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციების დარღვევა. სასურველია, არ დაძაბოთ ყელის იოგები, მოერიდეთ გაციებას.

22 – მთვარის ბოლო მეოთხედი კირჩხიბის თანავარსკვლავედში. შესაძლოა იმუნიტეტის შესუსტება, საერთო ტონუსის დაწევა. მოერიდეთ გაციებას.

28 – მთვარის შეერთება მარსთან ქალწულის თანავარსკვლავედში. ახალმთვარეობა სასწორის თანავარსკვლავედში. ამ დღეს მორალური და ფიზიკური ძალები შესუსტებულია. მოერიდეთ სტრესებს.

29 – მთვარის შეერთება ვენერასთან სასწორის თანავარსკვლავედში. სავარაუდოა რადიკულიტისა და თავის ტკივილების გაჩენა. მოერიდეთ ალკოჰოლისა და ცხიმიანი საკვების მოხმარებას.

30 – მთვარის შეერთება მერკურისთან სასწორის თანავარსკვლავედში. საფრთხილოა თირკმლების დაავადებათა წარმოშობა, წელის ტკივილები. ამოიღეთ რაციონიდან ზედმეტად ცხარე და მარილიანი საკვები, აგრეთვე ალკოჰოლი და ტკბილეული.

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.9660; ევრო - 3.2668;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6153;
100 რუბლი - 4.4651; თურქული ლირა - 0.5220;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7446;
1000 სომხური დრამი - 6.2115.

ამინდი 6 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+26
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+31
თბილისი:	ღამე	+18,	დღე	+28

დაგვიკავშირდით, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge